# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№128 (9808) 2024 წლის 8 ნოემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი





## ტრადიციული დღესასწაული — „ერეკლეობა“ თელავში

**ქართლ-კახეთის მეფის დაბადების დღიდან, წელს 304 -ე წელი შესრულდა.**

ტრადიციულ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით მთელი დღის განმავლობაში კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა.

მეფის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი მცხეთის სვეტიცხოველში და თელავში, ერეკლე მეორის სასახლის კარის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღავლინეს!

დღის განმავლობაში ქალაქის მთავარ მოედანზე გახსნილი იყო სოფლის ნობათის, ღვინის, ტურიზმის, ხალხური რეწვის, წიგნისა და მუსიკის პავილიონები. ღია სცენაზე გაიმართა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

სახალხო დღესასწაულის ფარგლებში დაჯილდოვდნენ თელავის საპატიო მოქალაქეები.

„ერეკლეობა“ კონცერტით და საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

ერეკლე II 1720 წლის 7 ნოემბერს თელავში დაიბადა.

---

### შალვა პაპუაშვილი:

### ჩვენ ვხედავდით, ბოლო პერიოდში როგორი მცდელობა არის ოპოზიციის მხრიდან, რომ ყველაფერს ქართულს, ტრადიციულს, ისტორიულს მიაყენონ შეურაცხყოფა!

განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა თელავში, სადაც მეფე ერეკლეს დაბადებიდან 304-ე წლისთავი აღინიშნა.

მისი შეფასებით, ამ ყველაფერს ქართველმა ხალხმა 26 ოქტომბერს გასცა პასუხი.

იხ. მე-7 გვ.

## BRICS-ის სამიტი და მსოფლიოს ბუნდოვანი მომავალი

8

## ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები

4

**! ევროპა სულიერად კვდება**

## ხუბულავების გვარი: წარსული და დღევანდელობა

6

## რამაზ ხუროძე მეცნიერების ორგანიზატორი

5



### კვლავ წარმატებებს გისურვებთ!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ეს დრო ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა, პიროვნებისთვის კი მნიშვნელოვანი ეტაპი. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ რვა ათეული წელი ბატონმა რამაზმა ღირსებით გაიარა. მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე – ესაა მისი ცხოვრების მთავარი მახასიათებლები. ჩვენი კეთილი ურთიერთობის ორმოცი წლის მანძილზე მე მხიბლავდა მისი დიდი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი, მისი უღალატობა და სანდოობა. ბატონმა რამაზმა შეიძლება იამაყოს განვლილი გზით, საზოგადოებასთან კეთილი ურთიერთობითა და მისდამი ღირსეული დამოკიდებულებით. იგი ბედნიერია, რომ ჰყავს და მხარში უდგას სანიმუშო ოჯახი: ერთგული მეუღლე, ღირსეული შვილები საყვარელი შვილიშვილებით, გამორჩეული ძმა თავისი მეუღლით და შვილებით.**

რამაზ ხუროძე ოთხმოცწლოვან იუბილეს წარმატებული ხვდება. ეს წარმატება მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაშია გამოხატული. იგი შემოქმედებით საქმიანობაშია.

წარმატება მინდა ვუსურვო ოთხმოცი წლის რამაზ ხუროძეს. გამარჯვებები იყოს მისი ცხოვრების მარადიული თანამგზავრი.

**როინ მეტრეველი,**
აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი



## დონალდ ტრამპი: მე არ ვაპირებ ომების დაწყებას, მე ვაპირებ ომების შეჩერებას!!!

აშშ–ის 45-ე და 47-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკელ ხალხს მიმართავს, რომ იგი არ აპირებს ომების დაწყებას და პირიქით, გეგმავს ომების შეჩერებას. მან სიტყვით გამოსვლისას ამომრჩევლებს გამარჯვებაც მიულოცა.„ხალხი მეუბნება, რომ ღმერთმა რაღაც მიზეზის გამო დაგტოვა ცოცხალიო. ღმერთმა იმიტომ დამტოვა ცოცხალი, რომ ამერიკა გადავარჩინო და მისი სიდიადე აღვადგინო. ახლა კი ჩვენ ვაპირებთ ამ მისიის შესრულებას ერთად. ეს დავალება ადვილი არ იქნება, მაგრამ მე მთელ ენერგიას, სულს და გულს ჩავდებ იმაში, რომ შევასრულო ბოლომდე საქმე, რომელიც თქვენ მე მომანდვეთ.

ჩემი მმართველობა იქნება მარტივი მოდელით – გავეცი დაპირებები და ეს დაპირებები შესრულდება. არაფერი შემიშლის ხელს ჩემი სიტყვის შესრულებაში. თქვენთვის, ხალხისთვის, ჩვენ ამერიკას კვლავ უსაფრთხოს, ძლიერს, აყვავებულს და თავისუფალს გავხდით. და ვთხოვ ყველა მოქალაქეს მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, შემომიერთდეს ამ კეთილშობილურ და სამართლიან საქმეში. დროა, გავერთიანდეთ და ჩვენ სწორედ ამას ვეცდებით. დღევანდელი დღე სამუდამოდ დაგვამახსოვრდება, როგორც დღე, როდესაც ამერიკელმა ხალხმა დაიბრუნა კონტროლი საკუთარ ქვეყანაზე“, – განაცხადა მან.

1892 წლის შემდეგ ტრამპი გახდება პირველი პრეზიდენტი, რომელიც თეთრ სახლში დაბრუნდება.

იხ. მე-2 გვ.

## ცხრანი სად არიან? — იკითხა ქრისტემ...

9



# ტრამპის მრჩევლებმა მას უკრაინის NATO-ში წევრობის მინიმუმ 20 წლით გადადება და ომის ფრონტის ხაზზე გაყინვა შესთავაზეს



**აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მრჩევლებმა მას უკრაინის ნატოში წევრობის მინიმუმ 20 წლით გადადება და ომის ფრონტის ხაზზე გაყინვა შესთავაზეს. ამ გეგმის შესახებ Wall Street Journal-ი აშშ-ის ტრამპთან დაახლოებულ სამ პირზე დაყრდნობით წერს.**

გეგმის მიხედვით, უკრაინა და რუსეთი უნდა შეთანხმდნენ დემილიტარიზებული ზონის შექმნაზე ამჟამინდელი ფრონტის ხაზის გასწვრივ დაახლოებით 1300 კილომეტრზე.

სამშვიდობოების როლში, ტრამპის გარემოცვის მიხედვით, მოუწევთ ევროპული ჯარების განთავსება. ამერიკელები ამაში არ მიიღებენ მონაწილეობას – არც გადაიხდიან. კიევმა ასევე უარი უნდა თქვას ნატოში გაწევრების გეგმაზე სულ მცირე მომდევნო 20 წლის განმავლობაში. სანაცვლოდ, აშშ გააგრძელებს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას, რათა თავიდან აიცილოს რუსეთის შესაძლო განმეორებითი თავდასხმა.

## შალვა პაპუაშვილი: ვულოცავ დონალდ ტრამპს პრეზიდენტად არჩევას!



ამ არჩევანმა უნდა დააბრუნოს საღი აზრი მსოფლიო პოლიტიკაში და წერტილი დაუსვას აღქმების ბატონობას რეალობაზე, იმ რეალობაზე, რაც ბოლო წლებში საქართველოს მიმართ დასავლეთის პოლიტიკის მახასიათებელი გახდა. მჯერა, რომ ამერიკულ-ქართული ურთიერთობების გადატვირთვა უნდა მოხდეს ურთიერთპატივისცემის, საერთო ინტერესებისა და, რაც მთავარია, ნამდვილი საკაცობრიო ღირებულებების საფუძველზე...

## ირაკლი კობახიძე: პრეზიდენტ ტრამპს ვულოცავ არჩევნებში გადამწყვეტ გამარჯვებას!



დარწმუნებული ვარ, რომ მისი ლიდერობა ხელს შეუწყობს გლობალურ და რეგიონალურ მშვიდობას და რეგიონალურ მშვიდობას და უზრუნველყოფილი იქნება აშშ-საქართველოს ურთიერთობების გადატვირთვა!




# ირაკლი კობახიძე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ალან ბერსეს და სლოვაკეთის პრემიერს რობერტ ფიცოს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ალან ბერსეს შეხვდა.**

ბუდაპეშტში, ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის გზაზე რეფორმების განხორციელების პროცესში.

მხარეებმა ასევე განიხილეს ევროპის უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. ყურადღება დაეთმო ევროპის საბჭოს როლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ნდობის აღდგენის პროცესში, მათ შორის ჰუმანიტარული პროექტებისა და დიალოგის მექანიზმების მეშვეობით. ასევე აღინიშნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშის და მინისტრთა კომიტეტის ყოველწლიური გადაწყვეტილებების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისთვის და ხაზი გაუსვა ორგანიზაციის მნიშვნელოვან როლს ევროპის კონტინენტზე დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის განმტკიცების პროცესში.

**გუშინვე ირაკლი კობახიძეს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოსთან გულახდილი საუბარი ჰქონდა.**

# გერმანიის მმართველი კოალიცია დაიშალა!

**კოალიცია კრიზისის წინაშე ლინდნერის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის (FDP) ულტიმატუმმა დააყენა — FDP შოლცის სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან და მწვანეებისგან დათმობაზე წასვლას ითხოვდა ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გატარების მიმართულებით, რაზედაც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.**

ლიდერების შეხვედრაზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, რამაც კოალიციის ერთიანობის გაგრძელება შეუძლებელი გახადა. ლინდნერმა მოუწოდა შოლცს, რომ ვადამდელი არჩევნები ჩაინიშნოს.

შედეგად, ოლაფ შოლცმა FDP-ის ლიდერი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მიუხედავად იმისა, რომ შოლცს პოტენციურად შეუძლია გააგრძელოს მართვა, უმცირესობაში დარჩენილი პარტია ბიუჯეტის დამტკიცებას ვერ შეძლებს, რაც დიდი ალბათობით, მარტის დასაწყისში ვადამდელ არჩევნებს ნიშნავს.

# შორს ჩვენგან აღზევებული ლექი!



## რატომ ეშინია ოპოზიციას პარლამენტში შესვლის? იმიტომ, რომ თანაპარტიელები ტარაკნებივით გაიქცევიან და სხვაგან გადაბარგდებიან!!!

**„ქართულ ოცნებას“ სულაც არ ადარდებს, პროტესტანტები შევლენ თუ არა პარლამენტში, სამაგიეროდ, რადიკალებს სულ სხვა რამ აწუხებთ, რის გამოც არ შედიან საკანონმდებლო ორგანოში და ეს არ არის მხოლოდ არჩევნების გაყალბება-არგაყალბება. სინამდვილეში, საპარლამენტო ცხოვრებაზე რადიკალური ჯგუფების უარს კიდევ ერთი მიზეზი აქვს – პარლამენტში შესვლის შემდეგ არ მიმოეფანტონ თანაგუნდელები და მათი საპარლამენტო მანდატი გამოყენებული არ აღმოჩნდეს.**

„პარლამენტი ვერ უნდა შედგეს, ვერ უნდა შევიდეს იმ შენობაში... კვირებში უნდა მორჩეს ეს ხელისუფლება“, – ისე იმეორებს კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ლიდერი **ნიკა გვარამია,** გეგონება, „ქართული ოცნება“ დანატრებულია ნაცების და მისი ამფსონების ხილვას საკანონმდებლო ორგანოში.

„ჩვენი გეგმის ფუნდამენტურ ნაწილს შეადგენს საპროტესტო აქციები, ჩვენ არ შევდივართ პარლამენტში“, – ამბობს ნაციონალი **სოფო ჯაფარიძე** და ახმოვანებს სააკაშვილის დირექტივას, „არავინ შევიდეს პარლამენტში, რადგან ახლა არ არის თავზე ნაცრის წაყრის დრო“.

„ქართული ოცნება“ ამბობს, რომ არავინ აპირებს ამ ადამიანების მიპატიჟებას პარლამენტში, როგორც ეს მოხდა ოთხი წლის წინ, ეს ადამიანები საბოლოოდ მაინც შევლენ პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური რესურსით არც ერთი ოპოზიციონერი საინტერესო არ არის საპარლამენტო მუშაობისთვის.

**დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე** მიიჩნევს, რომ დასავლეთი აკვირდება ოპოზიციის ქმედებებს და, როდესაც ქუჩის სტრატეგიის გამოყენებით ვერ იქნება შედეგი მიღწეული, ოპოზიციას მიუვა ბრძანება, შეწყვიტონ ქუჩაში აურზაური და შევიდნენ პარლამენტში.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ პარლამენტარიზმის ცხოვრება არ ჩაკვდება იმით, რადიკალები შევლენ თუ არა პარლამენტში. არ უნდათ და ნუ შევლენ, ისინი შვიდი თვის განმავლობაში არ შედიოდნენ პარლამენტში 2020 წელს, მაგრამ საპარლამენტო ცხოვრება ჩაკვდა?!

**„მე, მაგალითად, გამიხარდება, თუ ეს ანტიეროვნული ძალები, ეს აღზევებული ლექი, არაკაცები და არაქალები დაილექებიან და პარლამენტში არ შევლენ. ძალიან ეშინიათ მათ ლიდერებს, კოლექტიურ გვარამიებს და ბოკუჩავებს პარლამენტში შესვლის, რომ შევლენ თუ არა, გაექცევიან პარლამენტარები. 36 ადამიანი გაიყვანა სააკაშვილმა 2020 წელს პარლამენტში, მათგან რამდენი დარჩა? გადაბარგდებიან სხვა პარტიებში და ტარაკნებივით გაიქცევიან, რადგან მათ უნდათ კარგი ცხოვრება, კარგი ხელფასი და არავითარი იდეები. ადამიანებს, რომლებიც ამ ოთხ დაჯგუფებაში არიან – გვარამია, მელია, ბოკუჩავა და ვაშაძე, ასევე, ხაზარაძე-ლელო, მისი ხალხი და გახარია, არავითარი იდეა, არავითარი პოლიტიკური მრწამსი არ გააჩნიათ. ამ გუნდებს ვერავითარი იდეა ვერ აერთიანებს. ესენი არიან ბანდები, რომელთაც უნდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და შემდეგ ამით ხეირობა. მათ შორის გამორიცხულია მყარი პოლიტიკური ალიანსი“,** – აცხადებს პეტრე მამრაძე.

ამასთან, მიიჩნევს, რომ სავსებით შესაძლებელია, რადიკალური ჯგუფები საბოლოოდ მაინც შევიდნენ პარლამენტში. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არსებული პრაქტიკა ამას გვასწავლის. სხვათა შორის, როცა უკვე ხვდებიან, რომ პარლამენტში არშესვლით არაფერი გამოსდით და მათი მილიონერი ლიდერები მათ ღალატობენ, ამის შემდეგ პარლამენტში შესვლას ცდილობენ. სიების ჩახსნა კი არა, ოღონდ არ გაგვრიცხოთო და მერე უწევთ ხოლმე მუცელზე ხოხვა და ხვეწნა-მუდარა, რომ დარჩეთ მანდატი, რომ იყვნენ პარლამენტში.

ანალიტიკოსი იზიარებს მოსაზრებას, რომ ამ რადიკალური ჯგუფების პარლამენტარიზმის ისტორია არაფრად არ ვარგა და ნამდვილად არ აქვს აზრი, შევლენ პარლამენტში, თუ გამოვლენ პარლამენტიდან. ერთადერთი, მათ შესვლას საკანონმდებლო ორგანოში გარკვეული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთში ყოველთვის ასე უყურებენ, აბა, ოპოზიცია თუ არ არის, რისი პარლამენტია?! ეს ნიშნავს, რომ ეს არ არის სრულფასოვანი პარლამენტი.



გაგრძელება მე-9 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

# ქვა იმან ისროლოს, ვინც უცოდველია!

პოლიტიკას ასე სჭირდება და რა ვქნათ?!

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თქვა ვანო მერაბიშვილმა რუსულ ფულზე – „ფულს სუნი არ უდისო“...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღიარა გრიგოლ ვაშაძემ თავი რუსული კულტურის ნაწილად...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ისევ რუსეთის მოქალაქეებად რჩებიან კობა ნაყოფია და ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე ოდიოზური ფიგურა...

და რუსულ ბიზნესებში აგრძელებენ ფულის კეთებას(!)...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეპატიჟებოდა რუს ტურისტებს „ვივამედის“ საპატიო სტუმარი ქართულ „პლიაჟებზე“...

მეტიც: სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის მერე გაუუქმა რუსეთის მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი სააკაშვილისა და მერაბიშვილის ხელისუფლებამ...

2008 წლის აგვისტოს ომის მერე რუსეთი ოკუპანტად აღიარა საქართველოს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა.

არადა, რუსეთი 1993 წლის 27 სექტემბრის მერე იქცა თანამედროვე ოკუპანტად...

თუმცა, არც ამას შეუშლია ნაცებში გადაპორტირებული და მანამდეც იქ მყოფი ქართველი მომღერლებისთვის ხელი, კრემლის დიდ დარბაზში ემღერათ რუსთა ხელმწიფის საამებლად!

მარტო სოსო პავლიაშვილისა და ქეთა თოფურიას სახელები რომ გაკვრიათ დღეს პირზე, ან ნინო ქათამაძის ნამღერი აღარ გახსოვთ ან ნანი ბრეგვაძის?!

იქნებ სოფო ნიჟარაძე 1993 წლის 27 სექტემბრის მერე გამოიქცა რუსეთიდან და არ ვიცით?

თუ 2008 წლის აგვისტოში ომი იყო და 1993 წლის სექტემბერში არა?!

დიახ, 2008 წლის აგვისტოს ომის მერეც ოკუპანტი იყო რუსეთი და 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდეც...

„გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს! რუსეთი ოკუპანტია!“ – საქართველოს დროშით



გეპატიჟებით საქართველოში დასასვენებლად და ბიზნესის საკეთებლად... კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება... ხშირად გვეწვიეთ საქართველოში! – 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ასე ეპატიჟებოდა რუს ტურისტებს „ვივამედის“ საპატიო სტუმარი ქართულ „პლიაჟებზე“...

ხელში, წითელ მოედანზე, ზედ დაჩამიჩებული ლენინის მავზოლეუმის წინ, სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის მერე ვყვიროდით ერთ-ერთი ჟურნალისტური ფორუმის დროს საქართველოდან მოსკოვში ჩასული რამდენიმე ჟურნალისტი და არც ერთი წამით არ გვიგრძნია, რომ რამის ან ვინმესი უნდა შეგვშინებოდა...

(ამ დროს კი, ბევრი ომის დროს, წითელ ხიდზე გაქცევისას დამწვარი ბენზინით რეკორდებს ხსნიდა ქართულ რეალობაში).

✦ ✦ ✦

**თუმცა, ერთი რამეც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ: ნებისმიერ ოკუპანტთან და ნებისმიერი ომის დროს აუცილებელია დიალოგი, აუცილებელია მშვიდობაზე საუბარი და აუცილებელია ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული ურთიერთობების დარეგულირებისთვის.**

✦ ✦ ✦

**დიახ**, რუსეთი ოკუპანტია!

აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა!

დიახ, ვთქვათ პირდაპირ – ტაო-კლარჯეთიც საქართველოა!

ამავე ლოგიკით, – საინგილოც საქართველოა!

ამავე ლოგიკით – შორს წავალთ და აღმოჩნდება, რომ ბედკრული საქართველო ოკუპანტებითაა გარშემორტყმული...

არადა, სიმართლე ამაშიცაა...

✦ ✦ ✦

**უკრაინელი** ახალგაზრდა ბიჭები ბათუმში რომ ეფიცხებიან მზეს და ქართველი მეომრების სისხლით ირწყვება უკრაინის მიწა, ამაზე რატომ ვხუჭავთ თვალს? რატომ დუმხართ რუსთმოძულეებო?

ლუდოვიკოსთან რომ ალოდინეს სულხან-საბა, ამის შეხსენებასაც არა აქვს აზრი თქვენთვის...

უკრაინასაც რომ ცხვირწინ მიუხურეს ნატოს ალაყაფი, ესეც არ შევნიშნოთ და არც ის, „სნგ“-ს წევრ მოლდოვას რომ ყველაფერზე ყაბულდებიან...

პოლიტიკას ასე სჭირდება და რა ვქნათ?!

არადა, მოყანყალებული და არაერთგზის დაცემული ბაიდენის ადმინისტრაციის სურვილია ასეთი და ამის თქმაც „ტეხავს“... დასავლეთის მტრად მოგვნათლავენ...

✦ ✦ ✦

მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია და თუ „ოცნების“ თვალში ბეწვს ამჩნევთ, ასე რამ დაგაბრმავათ, რომ საკუთარ თვალში დირეს ვეღარ ხედავთ?

ჭიჭე ვაშაძე რომ რუსებზე აქირავებდა ბინას, ის პატრიოტიზმი იყო და ხვალ ვინმე ოჯახის გადახვეწილი წევრის სანახავად თუ ჩაფრინდება მოსკოვში აღდგენილი პირდაპირი რეისით, ის მოღალატეა?!

ქვა იმან ისროლოს, ვინც უცოდველია!

დიახ, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ის თანაბრად უნდა იყოს ოკუპანტი კობა ნაყოფიასთვისაც, რუსებზე ბინის მიმქირავებელი ჭიჭე ვაშაძისთვისაც და „რუსული კულტურის ნაწილი“ გრიგოლ ვაშაძისთვისაც!

ოღონდ, ერთიცაა:

რუსეთი ოკუპანტი უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ არ გამხდარა.

რუსეთი ოჩამჩირის და გაგრის მიტაცების მერე გახდა ოკუპანტი.

თარიღები ნუ აგერევათ და საკუთარ მუცლის გვრემას ნუ აჰყვებით.

ავიამიმოსვლის აღდგენასაც ნუ თვლით ცუდ ტონად, როცა თქვენს ბელადს საკუთარი ბრძანებით აქვს სავიზო რეჟიმი გაუქმებული!

ნურც ლიაკა ხოშტარიასთვის რუსეთიდან გამოგზავნილ რუბლებს მიაქცევთ ყურადღებას. სჭირდება ლიაკას ფული და რა ქნას?!...

რუსი ტურისტების ჩამოსვლას ნუ თვლით „ოცნების“ დანაშაულად, როცა თავად სააკაშვილი პირადად ეფინებოდა ხალიჩად ლარსში შემოსულ რუს ტურისტებს...

სხვათაშორის, აგვისტოს ომის შემდეგ...

✦ ✦ ✦

**P. S.**

**ხვალ, კარვებს რომ „დასცემთ“ რუსთაველზე და „ქართული ოცნების“ ლანძღვას დაიწყებთ – არიქა, რუსეთში მივდივართო, მიიხედ-მოიხედეთ, სადმე გრიშა ვაშაძე, ვანო მერაბიშვილი, კობა ნაყოფია ან ჭიჭე ვაშაძე არ იდგნენ ახლომახლო.**

**სირცხვილია!**

**არც სალომე ზურაბიშვილი არ გაიკაროთ. მაგას ლავროვი „ნაყვარევა“ და არ შეულახოთ ღირსება.**

**ლიაკა ხოშტარიაზე და მისთვის რუსეთიდან ჩარიცხულ რუბლებზე არაფერს ვამბობ.**

**კარვების შესაძენად გჭირდებოდათ თანხა და რა მოხდა, მერე?!**

**ჰო, მთავარი: ავანგარდში მარგველაშვილი ჩაიყენეთ. მაგას სძულს რუსეთი. მაგას მარტო სალომე ზურაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი უყვარს. და რუსული არაყი...**



**გიორგი მამაცაშვილი**

27.X.2924

## ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებმა სამხედრო ფიცი დადეს



**საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის საწყისი საბრძოლო მომზადების კურსდამთავრებულებმა სამხედრო ფიცი დადეს. სახელმწიფო ჰიმნის შესრულების შემდეგ, იუნკერებმა და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით**

**დიდგორის მემორიალთან დავით აღმაშენებლის სახელობის**

**სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ხსოვნას პატივი მიაგეს. ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორმა, ბრიგადის გენერალმა მამია ბალახაძემ კურსდამთავრებულებს სამხედრო კარიერული წარმატებები უსურვა. მან წარჩინებული კურსდამთავრებულები და ინსტრუქტორები დააჯილდოვა. იუნკერებმა ხუთკვირიანი საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი გაიარეს, რაც თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავდა. კურსის განმავლობაში მომავალი ოფიცრები სამხედრო მოსამსახურის ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ.**

## ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაციების სარჩელები არ დააკმაყოფილა!

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ არასამთავრობო ორგანიზაციების სარჩელები არ დააკმაყოფილა.**

**კოლეგიამ დაუშვებლად ცნო დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ოლქების ბათილობა და კომისიის წევრების პასუხისმგებლობა, რითაც საქალაქო და რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.**




**არასამთავრობო ორგანიზაცია „საიას“ და კოალიცია „ჩემი ხმის“ ჯამში 20 სარჩელი სააპელაციო სასამართლოში ორი დღის განმავლობაში განიხილებოდა.**

# ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები

ივ. ჯავახიშვილი, „ავი სულები“, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ. 1960, გვ. 96

ჩემს წინაშეა ბელგიელი მხატვრის ჯეიმს ენზორის (1860-1949) ოფორტი „სიკვდილი მისდევს ადამიანების ბრბოს“. სურათზე ასახულია ქალაქის ვიწრო, მკრთალი მზით განათებული ქუჩა, ადამიანების არეული, შიშისგან დაღმეჭილი სახეებით, მათი უწყვეტი ნაკადით. შენობის კედელზე, საიდანაც ასევე იმზირებიან სახეაშლილი ადამიანები, გრჭყალებით ჩაფრენილია ადამიანის ჩონჩხი სიკვდილის ცელით ხელში, რომელიც ზემოდან დასცქერის შიშისაგან გადარეულ ბრბოს. ვინც სიკვდილს ივიწყებს, მხატვარი ისეთი ექსპრესიულობით შეახსენებს მის შავბნელ არსებობას, რომ სურათის მნახველს ძალაუნებურად ეძალება კითხვა: აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს?

**ამგვარი შეკითხვა უკვე ადამიანის დამცირება გახლავთ, რომელიც სიკვდილის შიშისგან სახემოქცეული ბრბოს წევრი ხდება. აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს? – თუ ქართულ სინამდვილეს გადავხედავთ, ეს აზრი უფრო განგვიმტკიცდება. აზრი აქვს ისეთ სიცოცხლეს, როდესაც ბრბოდ გადაქცეული ხალხის მასა ცრუ ბელადების დაპირებას ამხელა ნდობით ეკიდება? ასეთი შეკითხვა ხომ უკვე ადამიანის დამცირება გახლავთ, რომელიც სრული მიამიტობით „ევროპაში შესვლას“ ელოდება?**

წერილის სათაური, როგორც იქვე აღვნიშნე, ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ერთი ქვეთავის მიხედვით ავიღე, რომელიც ავტორის მიერ დასათაურებულია, როგორც „ავი სულები“ და ქართული წარმართული წარმოდგენების ისტორიას ეხება. გაზეთ „ივერიაში“ 1887 წელს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, აღნიშნავს ჯავახიშვილი, „მავნე სულების მეუფეს“ „ექვემდებარებიან ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები და სხვა მავნე სულები, რომლებიც ადამიანს სხვადასხვა სახით გამოეცხადებიან ხოლმე, ...ზევრჯერ ბავშვის სახითაც“. ასეთი „ბავშვის სახე“ მიიღო თბილისში გამართულმა აქციებმა „ევროპას გვართმევენ“! – როდესაც მეტწილად ახალგაზრდები, ბოროტი ძალების მიერ მართულნი, ფაქტობრივად ალქაჯებად და მაჯლაჯუნებად მოევლინნენ ქვეყანას.

ევროპაზე მეოცნებეთა საყურადღებოდ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ევროპა სულიერ კვდომას განიცდის. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი დაგროვდა. სულიერმა კვდომამ კი ფიზიკური კვდომა გამოიწვია – ესეც არ არის საკამათო, რომ დემოგრაფიულად, ევროპა გადაშენებისკენ მიდის, ევროპელთა ადგილს კი თანდათანობით, აზიელი და აფრიკელი მიგრანტები იკავებენ. თუმცა, სულიერ და ფიზიკურ კვდომას მე-20 საუკუნეში დაწყებული ფასეულობების კრიზისი უსწრებდა წინ. ფასეულობების კრიზისს ბიძგი მისცეს დასავლეთის ინტელექტუალებმა, ფილოსოფოსებმა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი. იგი ადამიანს განიხილავს, როგორც გადაგდებულს, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ მე, დაუკითხავად და ჩემი სურვილის გარეშე, ამ სხეულში, ამ ხასიათით, ამ ისტორიულ მომენტში და სამყაროს ამ ადგილზე ვარ ჩაყენებული და საკუთარ თავს მინდობილი. ტერმინით „სამყარო“ წარმოჩნდება ის, რომ არსებულს თავისი თავის განხორციელება ძალუძს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში, თუნდაც იგი გაუგებარ და შემზღუდველ ძალად აღიქმებოდეს. ტრანსცენდენტი გამოხატავს ექსისცენტის დაუსრულებლობას, დაუმთავრებლობას, რომელსაც ყოფნა ძალუძს მხოლოდ მუდმივ საკუთარი თავის გადალახვაში. წინა პლანზე გამოდის ძრწოლა, იმდენად, რამდენადაც მასში აშკარავდება სამყაროს ჭეშმარიტი ხასიათი – შემზარავობა, რომლის საპირისპიროდ, ყოველდღიური გარკვეულობა მხოლოდ სამყაროს ნამდვილი სახის პირბადეს წარმოადგენს. სიკვდილსა და დანაშაულში ამოხეთქავს ექსისტენტის სასრულობა...

დასავლეთში პოპულარობა მოიპოვეს სწორედ ასეთმა ფილოსოფოსებმა, როგორიც მარტინ ჰაიდეგერია, და სწორედ ეს გახდა ინტელექტუალური, სულიერი კრიზისის დასაწყისის მანიშნებელი, როდესაც უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ღვთისგან დაშორება ადამიანისა, მისი მარტო დატოვება გახდა მიმზიდველი.

ასეთი ტიპის უღვთო ინდივიდუალიზმს, მაგრამ აგრეთვე, უკიდურეს, ანუ უღვთო კოლექტივიზმს, მათ ალებს, ქაჯებსა და მაჯლაჯუნებს, უპირისპირდება დოსტოევსკის ფილოსოფია. გამოსავალი, ჩემი აზრით, არის სწორედ ის, რასაც რუსი ფილოსოფოსი ევგენი ტრუბეცკოი სწერდა ლიტერატორ მურატოვს, მე-20 საუკუნის დასაწყისის ინტელექტუალური პოლემიკის ფარგლებში.

კერძოდ, ტრუბეცკოი წერდა:

„დოსტოევსკის მოძღვრების არსი იმაზე დაიყვანება, რომ როგორც ხალხის, ასევე პიროვნების ზემოთ, არსებობს უმაღლესი, სამყაროსეული ჭეშმარიტება, რომლის წინაშეც მორიდება გვმართებს. დ. დ. მურატოვის მოძღვრების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მორჩილება გვმართებს ხალხის, როგორც ასეთის, წინაშე. დოსტოევსკი, პირველ ყოვლისა, გახლდათ ქრისტიანი; ამიტომ მის მსოფლმხედველობაში „ნაციონალურ ეროსს“ ჰქონდა მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა; პირიქით, ბატონი მურატოვი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ ნაციონალურ ეროსს აქვს თავისთავადი, თვითკმარი ღირებულება.

განსხვავება დ. მურატოვის თვალსაზრისსა და დოსტოევსკის და სლავიანოფილების რელიგიურ თვალსაზრისს შორის მდგომარეობს, სხვათა შორის, კიდევ იმაში, რომ იგი შესაძლებლად მიიჩნევს თავისი ნაციონალიზმის დასაბუთებას ყოველგვარი მეტაფიზიკური საწყისების გარეშე. ეს ნაციონალიზმი, რომელიც აღმერთებს ეროვნებას, კრძალავს, თავის კერპს მომართონ რაიმე ზნეობრივი მოთხოვნებით: ბ-ნი მურატოვის აზრით, შეიძლება ითქვას: **„ჩვენ გვმართებს“**, მაგრამ იკრძალება თქმა: **„ხალხს მართებს“**. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი ნორმა მხოლოდ პიროვნების ზემოთ არსებობს, მაგრამ არა ხალხს ზემოთ. სრულიად აშკარაა, რომ აქ დოსტოევსკის ქრისტიანობა კი არ გვაქვს, არამედ ნამდვილი წარმართობა“ (Национализм. Полемика 1900-1917. Сборник статей. Москва 2000, стр. 177-178).



**ამ წერილს დავამთავრებ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით, რომელიც თავის „აღსარებაში“ ამბობს: „ღმერთო, ჩვენ შენთვის შეგვქმენი, და ამიტომ მოუსვენარადაა გული ჩვენი, სანამ სიმშვიდეს არ ჰპოვებს შენში“.**



**ვიქტორ რცხილაძე**

---

## პაველ კოვალი:
# საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პროევროპული ქვეყანაა...



**პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე და უკრაინასთან თანამშრომლობის საბჭოს ხელმძღვანელი პაველ კოვალი უკრაინულ ტელევიზიასთან საუბარში აშშ-ში, საქართველოსა და მოლდოვაში ჩატარებულ არჩევნებს აფასებს და აცხადებს, რომ საკითხი ასე არ დგას, რომ ხალხმა არჩევნებზე რუსეთს დაუჭირა მხარი, რადგან მათ ხმა ივანიშვილს მისცეს, რომელიც მოსახლეობას ევროპულ გარანტიებს ჰპირდება.**

კოვალი აღნიშნავს, რომ ქართველებისთვის ევროპელობა იდენტობის არსია; საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პროევროპული ქვეყანაა საზოგადოებრივი აზრის მიხედვით და მუდამ ასე იყო, ის ევროპული თანამეგობრობის ნაწილია და შეუძლებელია ევროპის ისტორიის ნორმალური გაგება, პოლიტიკური ევროპის სადღაც უკიდურესად აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს გარეშე.

მისი შეფასებით, ხალხმა არჩევნებზე მხარი ბიძინა ივანიშვილს დაუჭირა.

**„აქ ძირითადი როლი ომის შიშმა ითამაშა. აშკარაა, რომ რუსები ქართველების მეგობრები არ არიან. ასე არ იყო, რომ ხალხმა რუსეთს დაუჭირა მხარი. ქართველები ხმას ივანიშვილს აძლევდნენ, რომელიც ბოლო გამოსვლების დროს იძახდა, რომ ჩვენ ვიძლევით ევროპულ გარანტიებს. შორეულ პროვინციებში, რეგიონებში, მაგალითად კახეთში, ასე არ არის, რომ უბრალო ხალხს პოლიტიკა კარგად ესმის, მათთვის დიდად მნიშვნელოვანია ლოზუნგი „მივდივართ ევროპისკენ“. ივანიშვილი ამ ლოზუნგს მოუბრუნდა წინასაარჩევნო პერიოდის გამოსვლებში, როდესაც დამატებითი ხმების მოპოვებას ცდილობდა.**

**ადვილია იმის თქმა, რომ ყველა ხმა პრორუსულია, რაც პუტინის დიდი პროვოკაციაა, არადა არავინ აყენებს ეჭვქვეშ, რომ თბილისშიც კი, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა, დაახლოებით 40%-ის ირგვლივ იყო, ქალაქების გარეთ ნამდვილად გაცილებით მეტი. ამ არჩევნების შეფასებისას, ეს უნდა გვახსოვდეს, იმიტომ, რომ ცუდი დიაგნოზი შესაძლოა ცუდი პოლიტიკური ქმედებების გამომწვევი იყოს. ასე რომ, მე ვთვლი, რომ ქართველი საზოგადოება არ უნდა მოექცეს იზოლაციაში, საჭიროა დიდი ყურადღებით მოვექცეთ, მოვახდინოთ ხელისუფლების ყველა შეცდომაზე და ყველა არადემოკრატიულ ქმედებაზე მითითება. უსაფრთხოების საკითხზე ძალიან პრაგმატული მიდგომაა საჭირო. ანუ ისეთ თემებთან, როგორიცაა უსაფრთხოება, სამხედრო თანამშრომლობა, თუკი ეს შესაძლებელია, ვინაიდან ზემოაღნიშნული ყოველთვის შესაძლებელი არ არის. თუ შესაძლებელია ეს თანამშრომლობა უნდა შენარჩუნდეს. მე ასეთი მიდგომა მაქვს იმასთან, იქ რაც ხდებოდა, რადგან ვხედავ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა ძალიან მაღალია“**, – აცხადებს კოვალი.

**პაველ კოვალის შეფასებით, საარჩევნო კამპანია სუსტი იყო საქართველოს ძირითადი ცენტრების გარეთ.**

**საქართველოში ფაქტორები ცოტა უფრო მეტია, ვიდრე რუსეთი. რა თქმა უნდა არის რუსეთი, ამასთან ოპოზიციის საარჩევნო კამპანია მწირე იყო მთავარ ცენტრებს მიღმა. ოპოზიცია დანაწევრებული იყო, თუმცა ამას არ ჰქონდა პირდაპირი გავლენა, რადგან არჩევნები პროპორციული გზით ჩატარდა, ანუ ხმებს არ კარგავდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ოპოზიცია ძალიან დაყოფილი იყო 4 ბლოკად, რომელთაც ცალ-ცალკე, შეიძლება ითქვას რომ კარგი, დაახლოებით 10%-იანი შედეგი მიიღეს, თუმცა საარჩევნო კამპანია სუსტი იყო, საქართველოს ძირითადი ცენტრების გარეთ. საქართველოში რამდენჯერმე ვიყავი და დავინახე, რომ მათი საარჩევნო კამპანია კონცენტრირებული იყო მხოლოდ თბილისის ირგვლივ და მიმდებარედ. ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს, რომ „ქართულ ოცნებას“ თბილისსა და მის გარშემო დაახლოებით 40%-იანი მხარდაჭერა ჰქონდა, პროვინციებში მეტიც ექნებოდათ. საქართველოს არჩევნებში გასაკვირი არის ის, რომ არსებობს ერთგვარი შეუსაბამობა საზოგადოებრივი აზრის კვლევებსა და პირველად ეგზიტპოლებს შორის. ანუ ხალხი, რომელმაც ხმა მისცა, გამოდიოდა და ხმამაღლა სხვა რამეს ამბობდა. ანუ შეიძლება მათ რცხვენოდათ თქმა, რომ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს. საქართველოში ასეთი რამ მოხდა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია ძალიან ინტენსიური იყო, ძალიან ძლიერ მესიჯზე დაფუძნებული, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, ომი დაიწყება. ქართველებს 2008 წლიდან ომის ტრავმა აქვთ. პრაქტიკულად ყველა ქუჩაზე იყო ტრანსპარანტები, ბილბორდები, ინფორმაცია, რომელიც დანგრეულ უკრაინულ ქალაქებსა და ეკლესიებთან დაუნგრეველი საქართველოს შედარებას გამოხატავდა. ვფიქრობ, რომ შიშით თამაშმა, აგრეთვე პუტინის მიერ წარმოებულმა თამაშმა და თუ სპეციალურ ოპერაციაზე ვსაუბრობთ, ვამბობთ რომ ეს იყო საინფორმაციო ოპერაცია, და რომ ამან ითამაშა დიდი როლი კენჭისყრის საბოლოო შედეგზე“,** – აცხადებს კოვალი.

გაგრძელება მე-8 გვ.



# თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი, გულისხმიერი პიროვნება

**ცნობილ ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ინჟინერსა და პედაგოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს 80 წელი შეუსრულდა.**

**აკადემიკოსი რამაზ ხუროძე დაიბადა 1944 წელს ქალაქ თბილისში. 1961 წელს თბილისის 55-ე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1966 წელს. ამ დროიდან იწყება მისი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.**

რამაზ ხუროძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1972 წელს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. 1975 წელს დაიცვა დისერტაცია გამოთვლითი ტექნიკის დარგში ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1997 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1972-1981 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ავტორიზაციის განყოფილების გამგე და ასრულებდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამოთვლითი ტექნიკის კომისიის სწავლული მდივნის მოვალეობას.

1978-1979 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (აშშ). 1981 წელს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მივლინებული იყო ფინეთში, ჰელსინკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. 1987-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალობის განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ, 1988-1991 წლებში – საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილედ, 1991–1993 წლებში კი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი კადრებისა და კომერციული საქმიანობის დარგში. იმავე წელს არჩეულ იქნა ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის დოცენტად, შემდგომ პროფესორად.

**1992 წელს პროფესორი რამაზ ხუროძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ უნივერსიტეტის რექტორად აირჩია. 1998 წელს იგი სტუ-ს დიდი საბჭოს მიერ ხელმეორედ იქნა არჩეული უნივერსიტეტის რექტორად. ამ ურთულეს წლებში მისი ხელმძღვანელობით ტექნიკურ უნივერსიტეტში მრავალი საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი ჩატარდა ენერგეტიკის, დიდი სისტემების მართვის, გამოყენებითი პროგრამული ტექნოლოგიების, ეკოლოგიის, „დიდი აბრეშუმის გზის" საერთაშორისო პროექტის განხორციელების, ნავთობ-გაზსადენების მშენებლობისა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე. საფუძველი ჩაეყარა რამდენიმე სამეცნიერო-ტექნიკური პროფილის ჟურნალის გამოცემას და სხვა. იგი დღესაც ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სწავლა, სწავლების ცენტრს".**

2002 წელს მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის რამაზ ხუროძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო 2019 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

თვალსაჩინოა აკად. რამაზ ხუროძის წვლილი საქართველოში კომპიუტერულ მეცნიერებათა განვითარების საქმეში – იგი დამსახურებულად ითვლება ჩვენს ქვეყანაში მართვის სისტემების ანალოგურ მოწყობილობათა საიმედოობის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. გამოქვეყნებული აქვს შრომები ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა მართვის ტექნიკური სისტემები, გამოთვლითი ტექნიკა, მართვის ავტომატიზირებული სისტემები, რეზერვირებული ტექნიკური სისტემების საიმედოობა, ხელოვნური ინტელექტი (ნეირონული ქსელები), აღსანიშნავია, რომ ბატონი რამაზი არის ავტორი საქართველოში პირველი მონოგრაფიისა ხელოვნური ინტელექტის სფეროში (დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში).

აკადემიკოს რამაზ ხუროძეს გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 25 მონოგრაფია, 15 სახელმძღვანელო და 2 გამოგონება არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ – ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, მექსიკაში, რუსეთში, უკრაინაში, ბელგიასა და სხვ.

ბატონი რამაზი არის მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი – 2003 წელს იგი **Sigma Xi, the Scientific Research Society**-ის წევრად აირჩიეს. იგი არის საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, გაერთიანებული ერების ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რუსული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

**აკადემიკოსი რამაზ ხუროძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა აღნიშნული იქნა ჯილდოებითა და პრემიებით, კერძოდ, ქართული ტექნიკური მეცნიერების განვითარებისა და საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის იგი დაჯილდოებული იქნა ღირსების ორდენით (1998 წ.), 1998 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სამუშაოსათვის „ეფექტიანი ავტოგაზგასამართი საკომპრესორო სადგური ახალი თაობის კომპრესორებით, ხოლო 2000 წელს იგი დაჯილდოებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის ოქროს მედლით ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის.**

**აკადემიკოსი რამაზ ხუროძე, როგორც თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი და ამასთან ერთად ფართოდ ერუდირებული, გულისხმიერი, ყურადღებიანი პიროვნება, დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს კოლეგებისა და თანამშრომლების ფართო წრეში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და აკადემიის საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება გულითადად ულოცავს აკადემიკოს რამაზ ხუროძეს 80 წლის იუბილეს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჩვეულ ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ცნობილ მეცნიერს, ინჟინერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს 80 წლის იუბილეს ულოცავს!




**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სტუდენტების სახელით, ცნობილ მეცნიერს, ინჟინერსა და საზოგადო მოღვაწეს, 1993-2006 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს პრეზიდენტის ოქროს მედლისა და ღირსების ორდენის კავალერს, სტუ-ის გიორგი ნიკოლაძის მედლის მფლობელს, ღრმა ერუდიციითა და პიროვნული თვისებებით გამორჩეულ მკვლევარსა და შესანიშნავ პედაგოგს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს 80 წლის იუბილეს ულოცავს.**

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წიაღიდან გამოსულ გამოჩენილ მეცნიერს, ინჟინერს, საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს ერთ-ერთ ყოფილ სახელოვან რექტორს, უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს– გამორჩეულს სამეცნიერო ნაშრომებით, მონოგრაფიებითა და გამოგონებებით, საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებულ კოლეგასა და უფროს მეგობარს, შესანიშნავ პედაგოგს, რომელიც ქვეყანას პროფესიონალთა და ცნობილ მკვლევართა თაობებს უზრდის - 80 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსი რამაზ ხუროძე ქართველ მოაზროვნეთა თაობის ის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც თავდადებით იღვწის მეცნიერების განვითარებისთვის და მრავალი ათეული წელია, მუშაობს ისეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო თემებზე, როგორიცაა: მართვის მრავალელემენტიანი დარეზერვებული აღდგენადი სისტემების საიმედოობრივი დაგეგმვა, მათემატიკური მოდელირება, ხელოვნური ინტელექტის ამოცანები, სახეთა ამოცნობის პროცესისთვის ნეირონული ქსელების გამოყენება და სხვ. მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიდერლანდებში, ბელგიასა და უკრაინაში.

ცხოვრების მისეული გზა, საერთაშორისო ავტორიტეტი და საყოველთაო აღიარება სამშობლოსთვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი დადასტურებაა. მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სხვადასხვა დროს არაერთი ჯილდოთი, ღირსების ორდენით, საქართველოს პრეზიდენტის ოქროს მედლით, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის მედლით აღინიშნა. ის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისა და ორგანიზაციის ნამდვილი წევრია, მათ შორისაა **Sigma Xi** და **the Scientific Research Society**-ი.

შესაშური და ცალკე აღნიშვნის ღირსია ის განუზომელი ენთუზიაზმი და სიყვარული, რომლითაც აკადემიკოსი რამაზ ხუროძე მეცნიერებით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან მუშაობს, უთმობს უდიდეს დროს, უღვივებს მათ შემეცნებისა და ახლის ქმნადობის სურვილს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით, გულითადად ვულოცავთ ბატონ რამაზს ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ოჯახის კეთილდღეობასა და წარმატებას სამეცნიერო მოღვაწეობაში, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ", – აღნიშნულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის მილოცვაში.**

# ხუბულავების გვარი: წარსული და დღევანდელობა

**ხუბულავები მეგრული წარმოშობის გვარია. გავრცელებულია ზუგდიდში, ჭაქვინჯში, ჯიხაშკარში, ინგირში, ქვალონში, ორსანტიაში, უფალკარში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონის სოფელ სიდაში, თაგილონში და სხვაგან. დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 717 ხუბულავა. ჩვენი აზრით, ეპონიმური გვარსახელია და უკავშირდება ხუბუს სახელს. შედარებისთვის მოვიყვანოთ ხუბუტიას მაგალითი, როგორც ვიცით, თი ან ტი დაბოლოება ლაზურ-მეგრულია და შეესაბამება ოჯახს ანუ ხუბუს ოჯახი. სოციალური წარმომავლობით იყვნენ როგორც გლეხები ასევე აზნაურებიც, 1904 წლის აღწერით ჯიხაშკარში ხუბულავების შვიდი ოჯახი ატარებდა აზნაურის ტიტულს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ეს გვარი ისტორიაში გვხვდება სხვადასხვა სახით: ხუბულავა, ხუბლავა და ხუბილავა.**

ხუბულავების საგვარეულო კავშირი დაფუძნდა 1994 წელს. რომლის ინიციატორი იყო ჭაქვინჯელი თეოტი ხუბულავა, მას მხარი აუბეს ბორის და აბელ ხუბულავებმა. ყოველი წლის სულთმოფენობის მეორე დღეს, პირველ ორშაბათს, ტილიფობას, ხდებოდა ხუბულავების გვარის შეკრება.

დღეს ამ შეკრების ორგანიზატორი არის გვარის წინამძღოლი ბატონი ვალერიან ხუბულავა. შეუფასებელია მისი ღვაწლი და ამაგი გვარის შეკრებასთან დაკავშირებით, რომლის დიდი ძალისხმევით მოხერხდა გვარიშვილების შეკრება-გაერთიანება.

სწორედ საგვარეულო შეკრებებთან დაკავშირებით, გვარის ახალგაზრდა წევრმა გოჩა ხუბულავამ სამების საკათედრო ტაძრის მხატვარს დააწერინა წმინდა ნიკოლოზის სახელობის საგვარეულო ხატი და ხუბულავების აზნაურული გერბი, (რომელიც მონაცვლეობით ყველა ოჯახში მიბრძანდება და ასე ეფინება გვარის მფარველი ხატის მადლი ჩვენს ოჯახებს). ასევე, ბატონ ლევან ბერაიას მეშვეობით მან მოიძია გვარის სტატისტიკური აღწერის მონაცემები, ძველი და ახალი გენეალოგია, რათა შეისწავლოს გვარის ისტორია სრულყოფილად და გამოსცეს ბროშურის სახით.

ამა წლის 23 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში მოხდა ხატის კურთხევა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაილოცა გვარი.

**ყველაზე ძველი ისტორიული საბუთი ამ გვარის შესახებ, რაც ჩვენ მოგვეპოვება, განეკუთვნება XVII საუკუნეს, კერძოდ, 1628 წელს, სადაც საუბარია ლევან დადიანის შეწირულობის სიგელზე, რომელიც გაცემულია ბიჭვინთის ტაძრისადმი. დადიანმა მათაგადუნ ხუბულავა და მისი სახლიკაცი ძვიბი შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს და დაუწესა გადასახადი: ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ორი ქილა ღომი და ერთი ქათამი. (1628წ. შდ-2904).**

მეორე ცნობა განეკუთვნება XVIII საუკუნეს, კერძოდ, 1733 წელს გრიგოლ კათოლიკოსის ბიჭვინთის ეკლესიის საბუთებში იკითხება, რომ ერთი მოსახლე კაცი ხუბულავა ნინია და მისი ძმა ბაბაკური და მასთან ერთი გლეხი დავაყენე მისი ცოლ-შვილით და სხვა შვილით... ამ საბუთით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხუბულავების ეს ოჯახი დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან ყმები ჰყავთ. შესაძლებელია ყოფილიყვნენ აზნაურები ან შეძლებული გლეხები.

1818 წლის ერთ-ერთი საბუთით, კერძოდ, ჩუქების აქტში, რომელიც შეეხება გრიგოლ დადიანსა და მის შვილებს ალექსანდრეს და დიმიტრის, ხელს აწერს მღვდელი და მდივანი დავით ხუბულავა, რასაც ამოწმებს ლევან დადიანი. აქედან შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მღვდელი დავით ხუბულავა წოდებით აზნაური იყო და მდივნის სახელსაც ფლობდა.

პეტერბურგის არქივის ფონდში N1343 დაცულია რამდენიმე საბუთი ამ გვარის შესახებ. ასე მაგალითად: ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში, სოფელ საჩაჩეოში, მ. ხუბულავას და ჩ. ტყებუჩავას ნაკვეთის შეძენა უნდოდათ მათსავე გლეხებისაგან.

**ბესარიონ ხუბულავა** სარატოვის გუბერნიაში მსახურებდა კოლეგიის კანცელარიის რეგისტრატორად.

**სპირიდონ ხუბულავა,** ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, იყო ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი სოფელ ხეთაში 1905 წელს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ხუბულავებს ჰყავდათ ორი წევრი – სპირიდონ და ანტონ ხუბულავები.





ხუბულავებს ბევრი გამოჩენილი ადამიანი ჰყავდათ გვარში, მათ შორის არიან:

**ნინო ხუბულავა** – ერთ-ერთი პირველი ქართველი მფრინავი ქალი, რომელიც სწავლობდა თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში 1930-1932 წლებში, შემდეგ იქვე დაიწყო მუშაობა. 1932 წელს ჩაირიცხა ბატაისკის მფრინავთა კურსებზე. 1934 წელს დაამთავრა თბილისის აეროკლუბთან არსებული საფრენოსნო სკოლა. 1935 წელს მფრინავი გახდა. იგი საავიაციო საქმის პროპაგანდის მიზნით მფრინავებთან ერთად აწყობდა გადაფრენებს საქართველოს რაიონებსა და სოფლებში.

**პოლიკარპე ხუბულავა** – ქართველი ლოტბარი, მომღერალი, ღირსების ორდენისა და წმინდა გიორგის ორდენის კავალერი. პოლიკარპე ხუბულავა დაიბადა 1924 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში.

**ერასტო ხუბულავა** დიაკვანი იყო, მაგრამ ბოლშევიკების შემოსვლის დღიდან იძულებული გახდა, რკინიგზაზე დაეწყო მუშაობა. ერასტო ხუბულავა კარგი მომღერალ-მგალობელი იყო: სანამ ერასტო საკუთარ ანსამბლს შექმნიდა (ხელმძღვანელობდა ჯიხაშკარის გუნდს, რომლისგანაც 1931 წელს გრიგოლ კოკელაძემ ჩაწერა სიმღერები), უმღერია ცნობილ ლოტბარებთან – ძუკუ ლოლუასა და რემა შელეგიასთან. პოლიკარპეს დედა მინადორა ბიგვავა სოფელ ნარაზენიდან ყოფილა, ისიც საკმაოდ კარგად მღეროდა. მათი შვილები (პოლიკარპეს რვა და ჰყავდა) ბავშვობიდანვე გაეცნენ ხალხურ სიმღერებს.

პოლიკარპე ხუბულავა გარდაიცვალა 2015 წლის 1 იანვარს, დაკრძალულია სოფელ ჯიხაშკარში.

**იოანე ხუბულავა** გახლდათ მეფსალმუნე. 1848 წელს ჭაქვინჯის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდა. გარდაიცვალა 1861 წელს.

2020 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი), ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ეპარქიის მღვდელთსახურნი დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრით, მათ შორის იყო დეკანოზი **პანტელეიმონ ხუბულავა.**

ჩვენი დიდი წინაპარი **აკაკი ხუბულავა** ირწმუნებოდა, რომ „ჩემი წინაპარი დადიანს მინდობია და ოხვამეგოჭვილში (სამლოცველო) დამდგარა. აღნიშნული ეკლესია თურქებს გადაუწვიათ. მაგრამ წმინდა გიორგის და მაცხოვრის ხატები წამოუღიათ და ჭაქვინჯში აუშენებიათ „ხუბულავეფიშ ოხვამე". იმდროინდელი ეკლესიის ზარი ახლაც ინახება ჭაქვინჯის საჯარო სკოლაში.

ხუბულავების გვარში დღესაც საკმაოდ არიან ერის ღირსეული შვილები, მათ შორისაა **გენადი ხუბულავა,** ცნობილი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2012), რუსეთის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი.

**ნოე მიხაილის ძე ხუბულავა** ეკონომიკის განვითარების საკითხებში მრავალი ნაშრომის ავტორია.

**მათე ხუბულავა** იყო დიდი ქველმოქმედი, ჰქონდა საქსოვი დაზგა და დასაქმებული ჰყავდა ათობით ადამიანი. ასევე იყო სახალხო მკურნალი, რომელიც თავის ოჯახში კურნავდა ავადმყოფებს უსასყიდლოდ და ეხმარებოდა გაჭირვებულებს.

**შოთა ხუბულავა** განათლების დარგის წარჩინებული მუშაკი და ზუგდიდის ინტელიგენციის გამორჩეული პიროვნებაა, რომლის სახელიც მინიჭებული აქვს ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩას.

**ბაკურ ხუბულავამ** წითელ დიპლომზე დაამთავრა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პარალელურად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. მუშაობს ამავე უნივერსიტეტში სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სპეციალისტად, პროფესორის ასისტენტად, არის დოქტორანტი.

**სვეტლანა ხუბულავა** პროფესიით იურისტია, არჩეული იყო გალის რაისაბჭოს აღმასკომის დეპუტატად. დაჯილდოებულია მედლით – „შრომითი მამაცობისათვის". ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს საპატიო სიგელი გადაეცა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მინიჭებული აქვს იუსტიციის უფროსი მრჩევლის წოდება, ამჟამად მუშაობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

**ვიტალი ხუბულავა** მუშაობს ნატო-საქართველოს წვრთნების ცენტრში. არის 2008 წლის ომის მონაწილე. ასრულებდა სამშვიდობო მისიას ავღანეთსა და აფრიკაში. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. ასევე ამერიკული და ევროკავშირის მედლები.

**ნანა ხუბულავა** არის წარმატებული ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**ხათუნა ხუბულავა** ქუთაისის N7 საჯარო სკოლის მასწავლებელია, წამყვანი პედაგოგის 24-წლიანი სტაჟით.

**ასმათ ხუბულავა** ზუგდიდელთა ჯანმრთელობის დაცვის კავშირის თავმჯდომარეა;

**ნინო ხუბულავა** ქირურგიის ეროვნული ცენტრის ნევროლოგია.

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ხუბულავების გვარი.

**ვალერიან ხუბულავა,**
**ხუბულავების გვარის წინამძღოლი.**

**P.S.** ხუბულავების გვარი არცთუ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ქვეყნისთვის აქტიური მუშაობა მათაც ხელეწიფებათ. კარგი იქნებოდა, მკითხველს ცოდნოდა, რა სასიკეთო საქმეებით გამოირჩევა გვარის გამგეობა, რას აკეთებენ გვარის მეტი შეკავშირებისთვის, საზოგადოებრივი და მამულიშვილური პრობლემების გადასაწყვეტად, აპირებენ თუ არა კომპაქტურად დასახლებული ხუბულავები საგვარეულო ეკლესიის, სკვერის ან სხვა დასამახსოვრებელი ობიექტის აშენებას, ჩაბმული არიან თუ არა ახალგაზრდა გვარიშვილები საგვარეულო საქმიანობაში და ა.შ. მცირერიცხოვან გვარს მეტი აქტიურობა და მობილიზება ესაჭიროება. ამ მტკივნეულ საკითხებზე მეტი აქტიურობა მართებს ხუბულავების გვარის გამგეობას. იმედს ვიტოვებთ, ხუბულავები მომავალში მეტი აქტიურობით იღვაწებენ ღირსეული გვარის სახელის შორს გატანისთვის.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## სოფელ ძველ სენაკში შობის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია დასრულდა

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2023 წელს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ შემუშავდა მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა ტაძრის დაზიანებული თუნუქის საბურველის შეცვლა. ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ტაძარი +"-მა შეასრულა. სააგენტოს მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დაიხარჯა 205 058 ლარი.**



ძველი სენაკის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის ცენტრალურ უბანში, სოფლის სასაფლაოზე. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ტაძრის ფასადი შემკულია დახვეწილი მხატვრული და არქიტექტურული ელემენტებით.

საისტორიო წყაროებით ტაძარი აგებულია მე-17 საუკუნეში. მისი თავდაპირველი ნაგებობა დიდი ზომის ბაზილიკას წარმოადგენდა, თუმცა მე-19 საუკუნეში საფუძვლიანად გადაკეთების შედეგად ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს.

საინტერესოა იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობები, რომელიც საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოში ცხოვრობდა 1630-1649 წლებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1655 წელს გამოქვეყნებულ წიგნს „სამეგრელოს აღწერა" თანდართული აქვს სამეგრელოს რუკა, სადაც აღნიშნულია ძველი სენაკი მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიით", – აღნიშნულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში

## შალვა პაპუაშვილი:

# ჩვენ ვხედავდით, ბოლო პერიოდში როგორი მცდელობა არის ოპოზიციის მხრიდან, რომ ყველაფერს ქართულს, ტრადიციულს, ისტორიულს მიაყენონ შეურაცხყოფა!

პირველი გვერდიდან



**„ჩვენ ვხედავდით, ბოლო პერიოდში როგორი მცდელობა არის ოპოზიციის მხრიდან, რომ ყველაფერს ქართულს, ტრადიციულს, ისტორიულს მიაყენონ შეურაცხყოფა, დააკნინონ, ამოშალონ მეხსიერებიდან და ჩაანაცვლონ ის უცხო ღირებულებებით, უცხო ქვეყნების ისტორიული პერსონაჟებით და ზოგადად უცხო ქვეყნების ისტორიებით ჩაგვინაცვლონ ქართული ისტორია და ჩვენი გმირები.**

**ჩვენ ვნახეთ, თუ რა პასუხი გასცა ამ ყველაფერს 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა, მაშინ, როდესაც ყველას მათ, ვინც შეურაცხყოფას აყენებდა ჩვენს გმირ მეფეებს, ტრადიციებს, რელიგიას, საკადრისი ადგილი მიუჩინა იქ, სადაც უნდა იყვნენ ისეთი ძალები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ჩვენს საერთო სამშობლოსთან“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

პაპუაშვილი გამოეხმაურა ემანუელ მაკრონის, ოლაფ შოლცის და დონალდ ტუსკის ერთობლივ განცხადებას, რომლებმაც საქართველოს ხელისუფლებას „ბოლო დროს მიღებული კანონმდებლობის“ გაუქმებისკენ მოუწოდეს.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ქართველებისთვის წარმოუდგენელია, რომ საქართველოში სხვა ქვეყნის მიერ ფარულად ფულის ხარჯვა, ან ბაღებსა და სკოლებში ლგბტ პროპაგანდა ევროპული ღირებულება იყოს. მისი განცხადებით, თუ ეს ასეა, მაშინ პირდაპირ უნდა თქვან ევროპელმა მაღალჩინოსნებმა, რა არის ევროპული ღირებულება.

**„წარმოუდგენელია ქართველებისთვის, რომ ევროპული ღირებულება იყოს სხვა ქვეყანაში დაფარულად თანხების ხარჯვა იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინო სხვა ქვეყნის პოლიტიკაზე. ეს რა თქმა უნდა, არ არის ევროპული ღირებულება, თუკი ამას რომელიმე ევროპელი ასე თვლის, მაშინ ღიად თქვან და არა ასე შეფარულად. გაუგებარია ქართველი ხალხისთვის, რომ ევროპული ღირებულება შეიძლება იყოს ბაღებში, სკოლებში ლგბტ პროპაგანდა. გვითხრან მაშინ, რომ ეს არის თურმე ევროპული ღირებულება და ჩვენ ვცდებოდით აქამდე და სხვა რაღაც გვეგონა ევროპა და ევროპული ღირებულება. ჩვენ ქართველები, ვართ დიახაც, ევროპული ღირებულებების თანაშემოქმედი, ჩვენი, ქართული კულტურა არის თანაშემოქმედი ევროპული კულტურისა, ამიტომ, როცა ვსაუბრობთ ევროპულ ღირებულებებზე, ჩვენ ვსაუბრობთ უპირველეს ყოვლისა, მათ შორის, ქართულ ღირებულებებზე. და გვითხრან, აგვიხსნან, თუკი სხვა ქვეყანაში ფარულად ფულის ხარჯვა არის ევროპული ღირებულებები, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის ეს ევროპული ღირებულებები. თუკი სკოლებში და ბაღებში ლგბტ პროპაგანდა არის ევროპული ღირებულება, თუკი სკოლებში და ბაღებში იმის პროპაგანდა, რომ არსებობს უთვალავი სქესი – ეს არის ევროპული ღირებულება, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის ევროპული ღირებულება, ამიტომ გვითხრან ეს პირდაპირ, რა არის ევროპული ღირებულება...“**

პაპუაშვილის თქმით, კითხვა მარტივია **– აპირებს თუ არა ევროკავშირი თავისსავე ღირებულებებს მიჰყვეს და საკუთარი ბიუჯეტიდან საქართველოში მიმართული თანხები გაასაჯაროოს. მისივე განმარტებით, თუ რა მავნე ზეგავლენა აქვს საქართველოში შემოსულ ფარულ ფულს, ყველა ხედავს, ვინაიდან რადიკალი პოლიტიკური პარტიები ფინანსდებიან ევროკავშირის ბიუჯეტიდან და ეს არაერთხელ დადასტურდა.**

**შეუძლებელია, ვსაუბრობთ ელემენტარულ საკითხებზე. სირცხვილიც კი არის 21-ე საუკუნეში გვიმტკიცებენ, პირდაპირ, რომ უნდა იყოს ფარული ფული, რომელიც იხარჯება საქართველოში. თუ რა მავნე ზეგავლენა აქვს საქართველოში ამ ფარულ ფულს, ამას ყველა ვხედავთ, როდესაც აღმოვაჩენთ ხოლმე შემდეგ, რომ რადიკალი პოლიტიკური პარტიები ფინანსდებიან ევროკავშირის ბიუჯეტიდან და ეს არაერთხელ დადასტურდა. მე სხვა დროსაც მითქვამს, რომ ჩემთან პირად საუბარში დაუდასტურებია ზოგიერთ ევროპელ ჩინოსანს, რომ ნახა მაგალითად, „ევროპის დემოკრატიის ფონდის“ პროექტების სია და დამიდასტურა და დამეთანხმა იმაში, რომ ნამდვილად იქ ჩანდა პოლიტიკური დღის წესრიგი ამ დაფინანსებებში, თუმცა, ჩემს თხოვნაზე, რომ იქნებ ჩემთვისაც ეჩვენებინა ეს სია, მე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, მივიღე უარი საქართველოში დახარჯულ ფულზე. ამიტომ, ყველა შეეშვას ფარისევლობას და იხელმძღვანელოს იმ ღირებულებებით, რომელზეც მართლაც ვდგავართ ჩვენ, ყველა ევროპელი, არამხოლოდ სხვადასხვა ევროკავშირის წევრი ქვეყანა, არამედ, საქართველოც, როგორც ევროპული ქვეყანა.“**

✦ ✦ ✦

**შალვა პაპუაშვილი ეთანხმება „ხალხის ძალის“ წევრის, დეპუტატ ზურაბ ქადაგიძის განცხადებას იმის შესახებ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ძლიერ საქართველოს“ და „გახარიას საქართველოსთვის“ საარჩევნო ბარიერი გადაალახვინა. ამ თემაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კახეთში ჟურნალისტებთან ისაუბრა.**

„ორი ფაქტია, რაზეც უნდა ვიმსჯელოთ. ერთია, რომ თავად თქვეს, რომ ეს არჩევნები იყო რეფერენდუმი ორ ძალას შორის – „ქართულ ოცნებასა“ და მის მოპირისპირედ მყოფ „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის. ამიტომ, ამ არჩევნებზე ყველა ეს ძალა საბოლოოდ, ოფიციალურად გაფორმდა როგორც „ნაცმოძრაობა“. ასე რომ, ამას ვეღარ გაექცევიან, მათ შორის ბარიერგადალახული 4 პარტია. ამ არჩევნების შემდგომ თავად გაიფორმეს თავი, როგორც „ნაცმოძრაობამ“.

ეს ერთი და მეორე - ჩვენც ვაკვირდებოდით და არა მხოლოდ ვაკვირდებოდით, საჯაროდაც ითქვა რამდენიმე აქტივისტის მხრიდან, რომ იყო კოორდინირებული ხმის მიცემა, როდესაც რამდენიმე ადამიანი ოჯახში ანაწილებდა ხმას სხვადასხვა პარტიაზე და ეს იყო კოორდინირებული ქცევა, იმისთვის რომ სხვადასხვა პარტიაზე გადაენაწილებინათ ხმები და ასე გადაელახა რამდენიმე პარტიას ბარიერი. მათი ამოცანა იყო, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მიეღო საპარლამენტო უმრავლესობა. მაგრამ ვნახეთ, რომ ამის საპირისპიროდ დადგა ქუდზე კაცი. ის რიგები და საცობები, თვითონ რომ უხაროდათ, აღმოჩნდა, რომ მათ საწინააღმდეგოდ ხმის მისაცემად მიდიოდნენ თავიანთ საარჩევნო უბნებში“...

**2024 წლის 7 ნოემბერი**

# საქართველო კანონის უზენაესობის შეფასებით უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატ ქვეყანას და ნატოს წევრ 5 სახელმწიფოს!

**საქართველო კანონის უზენაესობის შეფასებით უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატ ქვეყანას და ნატოს წევრ 5 სახელმწიფოს. მონაცემებს „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ აქვეყნებს.**

კანონის უზენაესობა (განმარტება) – ფასდება მთავრობის მოქმედებების კანონის ნორმებთან შესაბამისობა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და პატივისცემა.

„საქართველო კანონის უზენაესობის შეფასებით უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატ ქვეყანას და ნატოს წევრ 5 სახელმწიფოს. ეს ქვეყნებია ევროკავშირის წევრი ბულგარეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო, ალბანეთი, თურქეთი, მოლდოვა, უკრაინა, ბოსნია-ჰერცოგოვინა.

კანონის უზენაესობით საქართველო პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის მეოთხე ადგილზეა ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ და შავიზღვისპირეთში მხოლოდ რუმინეთს ჩამორჩება“, – ნათქვამია კვლევაში.

საქართველოში „კანონის უზენაესობა“ შეფასდა მსოფლიოს 10 წამყვანი ანალიტიკური ცენტრის და კვლევითი პროექტის პროვაიდერის შემაჯამებელი ანალიზის საფუძველზე, რომელთა შორისაა: ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ორგანიზაცია ფრიდომ ჰაუსი, ბრიტანული ორგანიზაცია ეკონომისტ ინთელიჯენს იუნითი, ბეთსელმანის ფონდი(გერმანია), გელაპის ორგანიზაცია (აშშ), დემოკრატიის კვლევითი პროექტი „დემოკრატიის მრავალფეროვნება VDEM (გოტენბერგისა და როტერდამის უნივერსიტეტები), მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი – კანონის უზენაესობის ინდექსი (აშშ), მსოფლიო ბანკის სამეწარმეო გამოკვლევა და **S&P Global**.




# უძველესი ქალაქი საუდის არაბეთში

**თანამედროვე საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ოაზისში 4000 წლის წინანდელი გამაგრებული ქალაქის ნაშთები აღმოაჩინეს. არქეოლოგთა განცხადებით, ეს აღმოჩენა ცხადყოფს, როგორ იცვლებოდა იმ დროის ცხოვრება ნელ-ნელა მომთაბარე სტილიდან ურბანულზე.**



ქალაქის ნაშთები, რომელსაც ალ-ნათაჰი უწოდეს, დიდხანს იმალებოდა გალავნიანი ოაზისის, ხაიბარის ქვეშ; ეს მწვანე, ნაყოფიერი ოაზისი არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთში, უდაბნოში მდებარეობს.

2024 წლის დასაწყისში, ფრანგმა არქეოლოგებმა იქ 14,5 კმ სიგრძის კედელი აღმოაჩინეს.

ახალ კვლევაში, რომელიც ჟურნალ **PLOS ONE**-ში გამოქვეყნდა, ფრანგულ-საუდელ მკვლევართა ჯგუფმა დაამტკიცა, რომ ეს გალავანი საცხოვრებელი სივრცის გარშემოა აგებული.

მკვლევართა განცხადებით, ამ მოზრდილ ქალაქში თითქმის 500 ადამიანს უნდა ეცხოვრა და აგებულია დაახლოებით ძვ. წ. 2400 წელს, ადრეულ ბრინჯაოს ხანაში.

კვლევის ხელმძღვანელის, გილომ შარლუს განცხადებით, დაახლოებით ათასი წლის შემდეგ, გაურკვეველ მიზეზთა გამო, ქალაქი მიატოვეს.

მაშინ, როცა ალ-ნათაჰი ააშენეს, ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ, ლევანტის რეგიონში, თანამედროვე სირიიდან იორდანიამდე, მრავალი ქალაქი ყვაოდა.

მიიჩნევა, რომ იმ დროისათვის, ჩრდილო-დასავლეთ არაბეთი უნაყოფო უდაბნო იყო, რომელსაც ხანდახან კვეთდნენ მწყემსი მომთაბარეები და გზადაგზა სამარხებსაც ტოვებდნენ.

15 წლის წინ, ასეთი შეხედულება შეიცვალა, როცა არქეოლოგებმა ტაიმას ოაზისში, ხაიბარის ოზაისის ჩრდილოეთით, ბრინჯაოს ხანის გალავნები აღმოაჩინეს.

ამ აღმოჩენამ მეცნიერები ამ ოაზისების უკეთესად შესწავლისთვის შეაგულიანა.

ალ-ნათაჰი იმდენად კარგადაა „დალუქული“ შავი ვულკანური ქვით, ბაზალტით, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში დაცული იყო არალეგალური გათხრებისგან.

თუმცა, ძეგლის აეროდაკვირვებებმა გამოავლინა პოტენციური გზები და სახლების საძირკვლები, რამაც არქეოლოგებს მიუთითა, სად უნდა ჩაეტარებინათ გათხრები.

ასე აღმოაჩინეს საძირკვლები, რომლებიც შარლუს განცხადებით, იმდენად ძლიერია, რომ სულ მცირე ერთ ან ორსართულიანი სახლები უნდა დაეჭირა; ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ ძეგლზე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

პირველადი შედეგები მიუთითებს 2,6-ჰექტარიან ქალაქზე, ბორცვზე მდგარ დაახლოებით 50 სახლზე, რომლებსაც გარშემო გალავანი ერტყა.

ნაქალაქარში აღმოჩენილ სამარხებში იპოვეს ლითონის იარაღები, მათ შორის, ნაჯახები და ხანჯლები, ასევე აქატის ქვები, რაც შედარებით მოწინავე საზოგადოებაზე მიუთითებს.

კერამიკის ნამტვრევები კი მიუთითებს შედარებით თანასწორ საზოგადოებაზე; კვლევის ავტორთა განცხადებით, ეს გახლავთ ძლიერ მარტივი, მაგრამ ძალიან ლამაზი კერამიკა.

გალავნის სიმაღლე დაახლოებით ხუთი მეტრი უნდა ყოფილიყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ალ-ნათაჰი წარმოადგენდა საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი მმართველის ქალაქს.

მკვლევართა განცხადებით, ეს აღმოჩენა ცხადყოფს „ნელი ურბანიზმის“ პროცესს, რომელიც მომთაბარეებიდან უფრო სასოფლო ცხოვრების სტილში გადასვლას წარმოადგენდა.

მაგალითად, ფორტიფიცირებული ოაზისები შეიძლება ერთმანეთთან კონტაქტში ყოფილიყვნენ ჯერ კიდევ მწყემსი ნომადური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონში. ასეთმა მიმოცვლამ შეიძლება საფუძველი ჩაუყარა „საკმევლის გზას“, რომლითაც სამხრეთ არაბეთიდან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში სავაჭროდ გაჰქონდათ სანელებლები, საკმეველი და მური.

ალ-ნათაჰი მაინც პატარა ქალაქი იყო იმ პერიოდის მესოპოტამიისა და ეგვიპტის ქალაქებთან შედარებით.

თუმცა, უზარმაზარ უდაბნოში მისი გაშენება მაინც მიუთითებს ურბანიზაციის კიდევ ერთ გზაზე.

კვლევა ჟურნალ **PLOS ONE**-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია **Agence France-Presse**-ის მიხედვით.

# ჩრდილოეთ კორეა რუსეთ-უკრაინის ომში ჩაერთო!..



უკრაინის ომი ესკალაციის ახალ ფაზაშია. ჩრდილოეთ კორეამ რუსეთში 10-ათასი ჯარისკაცი გაგზავნა. ეს ამბავი, ჯერ, ზელენსკიმ შემდეგ კი, პენტაგონმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა გაასაჯაროვა. რუსეთი, ცხადია, დუმდა, მაგრამ BRICS-ის სამიტზე, ამ საკითხთან დაკავშირებით, პუტინს ამერიკელმა ჟურნალისტმა დაუსვა შეკითხვა, რაზეც ცივი პასუხი მიიღო. რამდენიმე დღის წინ, რუსეთმა და ჩრდილოეთ კორეამ ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინეს. დეტალებთან დაკავშირებით კი, პუტინმა განაცხადა, რას და როგორ გავაკეთებთ, ეს უკვე ჩვენი საქმეაო.

ამერიკის დაზვერვის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა სპეცდანიშნულების ძალები რუსეთში უკვე გაგზავნა, რომელიც დივერსიული ოპერაციების მოწყობაშია გაწაფული. ითქვა, რომ კორეელთა ერთ-ერთი ჯგუფი კურსკის ოლქში გაიასროლეს. რუსეთ-ჩრდილოეთ კორეულმა ტანდემმა დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია. სამხრეთ კორეამ კი, უკრაინას სამხედრო დახმარება აღუთქვა. სამხრეთ კორეული მედიის თქმით, ჩრდილოეთ კორეის დანაყოფების დასაზვერად, სამხრეთ კორეა უკრაინაში სამხედრო სპეციალისტების გაგზავნას აპირებს. ამას რაკეტების და სხვა სამხედრო ტექნიკის მოწოდებაც დაემატება. ომში ჩრდილოეთ კორეის ჩართვა სწორედ ის ესკალაციაა, რომლის თავიდან აცილებასაც ცდილობდა ვაშინგტონი. ამერიკა შიშობს, რომ ესკალაციამ, შესაძლოა, არაპროგნოზირებადი პროცესები გამოიწვიოს.

დასავლეთის მედიის თქმით, ცოცხალი ძალის გარდა, ჩრდილოეთ კორეამ რუსეთს ხუთი მილიარდი დოლარის ღირებულების ჭურვები და იარაღიც მიაწოდა. სტრატეგიული ხელშეკრულებით კი, ჩრდილოეთ კორეას რუსეთის მაღალ ტექნოლოგიურ სამხედრო ტექნიკაზე ექნება წვდომა, რამაც, შესაძლოა, კიდევ უფრო დაძაბოს მდგომარეობა კორეის ნახევარკუნძულზე. სამხრეთ კორეის დაზვერვის მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეის სამხედრო სპეციალისტები რუსეთის ტერიტორიაზე უკვე გადიან წვრთნებს.

ჩრდილოეთ კორეის გადაწყვეტილება რუსეთში ჯარის გაგზავნის შესახებ ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეის მიმართ, სტრატეგიულ პოზიციას ამკაცრებს. თუ რუსეთი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებას და ფხენიანს ჯარსა და საბრძოლო მასალას მიაწვდის, ამერიკასა და მის მოკავშირეებს ევროპასა და აზიაში, გაზრდილი არასტაბილურობისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში შესაძლო ესკალაციის ახალი ეტაპისთვის მოუწევთ მომზადება. დასავლელი ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთ კორეის დახმარებით, რუსეთი დასავლეთის სტაბილურობის შერყევას ცდილობს, და მისი შემდეგი ნაბიჯი ირანთან სტრატეგიული ხელშეკრულების გაფორმება იქნება. ირანი კი, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაშია ისრაელთან. მისმა შემდგომმა შეიარაღებამ, შესაძლოა, უკიდურესად დაძაბოს მდგომარეობა ახლოაღმოსავლეთში. მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კორეის რუსეთის ცოცხალი ძალით დახმარება აჩვენებს, რომ რუსეთის მდგომარეობა მყიფეა. მას მუშა ხელისა და ჯარისკაცების დეფიციტი აწუხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლის ველზე დიდი მსხვერპლია. გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეის ხელშეწყობით, რუსეთი მორიგ მობილიზაციას იცილებს თავიდან, რადგან რუსეთის მოსახლეობაში ომით უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება.




# BRICS-ის სამიტი და მსოფლიოს ბუნდოვანი მომავალი

**როგორც ვიცით, რუსეთის ქალაქ ყაზანში, BRICS-ის მე-16 სამიტი ჩატარდა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. შეგახსენებთ, BRICS-ი სწრაფად განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებაა, რომელის შექმნის იდეა 2006 წელს გაჩნდა. ალიანსის დამაარსებელი ქვეყნებია: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა. წელს, ჯგუფს ეგვიპტე, ეთიოპია, ირანი და არაბთა გაერთიანებული საემიროები შეუერთდა. საუდის არაბეთის წევრობა ჯერ ისევ განხილვის პროცესშია.**

BRICS-ის პარტნიორი ქვეყნებია: ბელარუსი, ბოლივია, კუბა, ინდონეზია, მალაიზია, ნიგერია, ტაილანდი, თურქეთი და ვიეტნამი. განაცხადი წევრობაზე უკვე გააკეთა აზერბაიჯანმა, ბანგლადეშმა, მიანმამ ანუ ბირმამ, პაკისტანმა, სენეგალმა, შრილანკამ, სირიამ და ვენესუელამ.

წლევანდელ შეკრებაში, რომელმაც აჩვენა, რომ BRICS მრავალი ქვეყნის ლიდერთა უბრალო გაერთიანება კი არა, ერთ-ერთი უძლიერესი პლატფორმაა საერთაშორისო არენაზე, 36-მა სახელმწიფომ მიიღო მონაწილეობა. სამიტს თურქეთის პრეზიდენტი და გაეროს გენერალური მდივანი დაესწრნენ. გუტერეშის ყაზანში ჩასვლამ დასავლეთში არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა: ზოგმა გააკრიტიკა და ზოგმა გაამართლა. უკრაინამ კი, ის პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა.

სამიტის მასპინძელი ქვეყანა, რუსეთი ცდილობდა, ფორუმს შედეგი მოჰყოლოდა, რის გამოც თვალში საცემად გულუხვი მასპინძლობა გასწია. სამიტის ფარგლებში, ინდოეთისა და ჩინეთის, აგრეთვე, რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების პირისპირ შეხვედრა გაიმართა. მედიამ აღნიშნა, რომ ამ წარმატებული სამიტით პუტინმა საერთაშორისო დიპლომატიურ იზოლაციას დააღწია თავი. დასავლეთის პრესამ კი, ხაზი გაუსვა, რომ შეკრება პირადად ვლადიმირ პუტინის დიპლომატიური გამარჯვება იყო. რაც შეეხება, თავად სამიტის შედეგებს, ითქვა, რომ სამიტმა BRICS-ის სერიოზული პრობლემები გააშიშვლა: ალიანსის წევრებს შორის, თითქმის არც ერთ საკითხზე არ არსებობს თანხმობა. ან რა გასაკვირია! ისინი, გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც, შესაბამისად, ინტერსებითაც, ერთმანეთს არიან მოწყვეტილნი. გაერთიანებაში დემოკრატიული ქვეყნებიც შედის და ავტოკრატულიც, რაც მათ შორის კონსენსუსს ეღობება წინ. ბრაზილია, არაბული ქვეყნები და ინდოეთი სრულიად განსხვავებული გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობით მოქმედებენ. BRICS-ის ზოგიერთ წევრი ერთმანეთთან დაპირისპირებულია, მაგალითად, ჩინეთი და ინდოეთი. მათ დიდი ხნის მოუგვარებელი ტერიტორიული დავა აქვთ ლადახის რაიონში, რაც ხანდახან სამხედრო შეტაკებასაც კი იწვევს. ეთიოპია და ეგვიპტე ერთმანეთს ეკამათება პირველი მეგა დამბის მშენებლობის გამო. ირანსა და საუდის არაბეთს შორის 10-წლიანი ცივი ომია.

მოკლედ, გაერთიანების წევრთა ურთიერთობაში, მრავალი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს, რომლის ერთ-ერთი დასტური ისიცაა, რომ სამიტს სერბეთის, ბრაზილიისა და საუდის არაბეთის ლიდერები არ დაესწრნენ. ყაზანის ფორუმის ზოგადი და არაფრისმთქმელი ლექსიკით გაჯერებული რეზოლუციაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ არავითარი ერთსულოვნება არ იგრძნობა, განსაკუთრებით, იმასთან დაკავშირებით თუ რისთვისაა შექმნილი ეს ამხელა საერთაშორისო პლატფორმა. ამ საკითხთან მიმართებაში, რამდენიმე შეხედულება გამოიკვეთა: ზოგს, რუსეთისა და ჩინეთის ლიდერობით სურს, BRICS-ი ანტი დასავლური პლატფორმა იყოს; სხვები, მაგალითად, საუდის არაბეთი ნეიტრალური პოზიციისკენ იხრება; ინდოეთისა და თურქეთის აზრით, BRICS-ი დასავლეთის ოპონენტი კი არა, როგორც პარალელური სათათბირო პლატფორმა, დასავლეთთან კონფლიქტის გარეშე არსებობდეს, ანუ დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კოოპერაცია ჰქონდეს; ისინი დედოლარიზაციასა და მსოფლიო სავალუტო ფონდის საპირისპირო ორგანიზაციის შექმნას ეწინააღმდეგებიან. მიუხედავად ყველაფრისა, ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ მსოფლიო მრავალპოლუსიანი ხდება. ამიტომ, ბევრი ქვეყანა დასავლეთთან ან ჩინეთთან კონფრონტაციას გაურბის. მათ, უბრალოდ, სხვა პოლუსზე უნდათ არსებობა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მომავალში, BRICS-ი, როგორც მრავალხმიანი პლატფორმა, წარმატებული იქნება, რაც ასე უცებ, ალბათ, ვერ მოხდება, რადგან ძველი შეგონებისა არ იყოს, რომი ერთ დღეში არ აშენებულა!



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

## პაველ კოვალი:
# საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პროევროპული ქვეყანაა...

**მეოთხე გვერდიდან**

მისივე შეფასებით, საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციის შედეგი არ არის ცუდი, ერთობლივად მათ აქვთ დაახლოებით 40%-იანი მხარდაჭერა და პარლამენტში შევა ახალგაზრდა თაობა, რომელსაც შანსი უნდა მიეცეს.

კითხვაზე, როგორ ხედავს სააკაშვილის როლს ყველაფერ იმაში, რაც დღეს საქართველოში ხდება, პაველ კოვალი პასუხობს, რომ სააკაშვილს გათავისუფლება ეკუთვნის. მან არ დაიმსახურა ციხეში ჯდომა, თუმცა ქართული ოპოზიციური პოლიტიკა ახალი თაობის ხელში მოექცა.

**„როგორც ყველა ქარიზმატულ ლიდერს, მას მიაჩნდა, რომ მას ხალხი, ბრბო გაჰყვებოდა... რომ ციხესთან დადგებოდნენ და რევოლუცია მოხდებოდა. შეიძლება საქართველოში ბევრი რამ შეიცვალოს, მაგრამ ვერ ვხედავ სააკაშვილის როლს იმაში, რომ ის რევოლუციას სათავეში ჩაუდგეს. თუმცა, პოლიტიკაში დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ხანდახან გამაოგნებელი რამეები ხდება. მათ ვისაც სჯერა, რომ სააკაშვილი ვეღარ ითამაშებს როლს, ალბათ უნდა დაიტოვონ სხვადასხვა სცენარის განვითარების შესაძლებლობები“**, – აცხადებს პაველ კოვალი.

პაველ კოვალი საქართველოში უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის ვიზიტსაც აფასებს და ამბობს, რომ დღეს არჩევნებს არ უყურებენ მხოლოდ მიღებული ხმების რაოდენობით, არამედ საარჩევნო კამპანიის, მიღებული ხმების და შემდეგ ხმების დათვლის თვალსაზრისით და ორბანი ჩაერია, რომ თავიდან აეცილებინა საქართველოში შემდგომი პროტესტი.

პაველ კოვალის თქმით, არ იქნება მართებული, იმას თუ ვიტყვით, რომ საქართველოში და მოლდოვაში ასეთი შედეგები მხოლოდ რუსეთის ფაქტორით არის განპირობებული.

**„საქართველოში და მოლდოვაში ჩატარებული არჩევნების შედეგები პუტინისთვის ხელსაყრელია. რა თქმა უნდა, არ იქნება მართებული, იმას თუ ვიტყვით, რომ საქართველოში და მოლდოვაში ასეთი შედეგები მხოლოდ რუსეთის ფაქტორით მივიღეთ. ასეთ დიაგნოზებს თუ დავსვამთ, ვერაფერს ვერ შევცვლით. ზემოაღნიშნულს სხვა ფაქტორებიც განაპირობებს. მოლდოვაში ქალბატონმა პრეზიდენტმა, რომელსაც ვგულშემატკივრობთ, მაია სანდუმ (მას პირადად ვიცნობ და დიდად ვგულშემატკივრობ) რისკის შემცველი ოპერაცია ჩაატარა, არჩევნების ევროპულ რეფერენდუმთან თანხვედრის თვალსაზრისით. ამან გაამართლა, თუმცა ძლივს (ბეწვზე)“**, – აცხადებს პაველ კოვალი.

# ცხრანი სად არიან? — იკითხა ქრისტემ...





**სიჭარმაგეში ერთი ასეთი ჩვევა ჩამომიყალიბდა, გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც სულში ემოციის ღრმა კვალს დატოვებს, ვინახავ, მოცალეობის ჟამს კვლავ ვუბრუნდები, რომ ისევ წავიკითხო.**

ერთ-ერთი ასეთი, 2016 წლის 2 დეკემბრის გაზეთი „ლიტერატურული საქართველოა“, სადაც გამოქვეყნებულია ქართული ჟურნალისტიკის ჭეშმარიტი პროფესიონალის ბატონ სპარტაკ ქობულიას წერილი „ჭაბუა ამირეჯიბის **დღე-სასწაული** სენაკში“. ჩემში, როგორც მკითხველში, ყოველთვის გაკვირვებას იწვევს ბატონ სპარტაკის მკაცრ ლიტერატურულ ქარგაზე აგებული ნარკვევები თუ სტატიები. ამჯერადაც ეს პატარა წერილი ჩავთვალე უბრალოების ჟურნალისტურ ნიმუშად და თვალსაჩინო ადგილი მივუჩინე ჩემს არქივში.

წერილი იწყება მოკლე, თითქოსდა ჩვეულებრივი ინფორმაციით, რომელიც უცვლელად გადმომაქვს:

**„26 ნოემბერს სენაკმა აღნიშნა ჭაბუა ამირეჯიბის „მადლიერების დღე“. ქალაქის ცენტრში შენობათა კედლებზე გაიხსნა „მადლიერების დაფები“ — ლაკონიური წარწერით, „გმადლობ ჭაბუა“. პროექტის ავტორია რუსთაველის პრემიის ლაურეატი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია. დაფები ბატონი ვახტანგის საჩუქარია დიდი მწერლის და მშობლიური ქალაქისადმი.**

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, გამგებელმა ბატონმა გოჩა დგებუაძემ, მისმა მოადგილემ, ქალბატონმა ნატო ფულარიამ, განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა, პოეტმა ვასილ ბესელიამ, სენაკის ინტელიგენციამ, საზეიმო ატმოსფერო და განწყობილება შექმნეს. ნაკლები ქება-დითირამბები, მეტი პოეზია და მუსიკა. ზეიმში ამინდმაც თავისი წვლილი შეიტანა“.

დიდი ოპტიმიზმის გრძნობა გეუფლება როდესაც წასულ საზოგადო მოღვაწეს თუ ცნობილ შემოქმედს ამქვეყნად რჩება ისეთი მზრუნველი მეგობარი, როგორიც ბრძანდება საქართველოს თვალსაჩინო არქიტექტორი, ბატონი ვახტანგ დავითაია. ის, თავს ვალდებულად მიიჩნევს თავისი წვლილი შეიტანოს გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნის უკვდავებაში.

ფორმით, სიახლით და სიმარტივით, მემორიალი მართლაც ორიგინალური აღმოჩნდა, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკის, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის და სამხატვრო გალერეის კედლებზე გაკრული მარმარილოს დაფები, ლაკონიური წარწერით „გმადლობ, ჭაბუა“.

ფილოსოფოსი და ესეისტი ქალბატონი ჟაკლინ სირაძე აღნიშნავს: „თავისთავად ეს სიტყვები მიანიშნებს იმაზე, რომ ჭაბუა ამირეჯიბი იმდენად ახლობელია, იმდენად ყველა ჩვენგანის ნაწილია, რომ მას ოფიციალურად არ და ვერ მოვიხსენიებთ“.

„დათა თუთაშხიამ“, ხომ ყოველ ჩვენგანში დაფარული საუნჯე – ჩვენი ცნობიერება გააღვიძა და გაგვახსენა, თუ ვინა ვართ ჩვენ ქართველები. ეს მემორიალური დაფები კი თითქოსდა გვიბიძგებენ, ნაწარმოები ხელახლა გავაცნობიეროთ ჩვენი დროის კონტექსტში“.

26 ნოემბრის ქ. სენაკის ამ სახალხო დღესასწაულის ლაიტ მოტივად დარჩა — ოვაცია და აღფრთოვანება და ის, რომ შედგა ორი საამაყო მამულიშვილის სულიერი თანხვედრა: „იქეთ დევს ბერად აღკვეცილი, ვალმოხდილი, სანთელივით ჩამწვარი კაცის უდიდესი ღვაწლი და აქეთ — ქუდმოხდილი ხუროთმოძღვრის სამადლობელი!“ — აღნიშნავს პოეტი ვასილ ბესელია.

**ამ დიდებული დღესასწაულიდან გავიდა თითქმის რვა წელიწადი...**

**დრო და დრო მახსენდება ის მშვენიერი გვიანი შემოდგომის 26 ნოემბერი, ქ. სენაკის სახალხო დღესასწაული, რომელიც მართალია დასრულდა, მაგრამ გვეგონა საწყისი და საფუძველი დაუდო მსგავსი ზეიმების ესტაფეტას, რომელიც აუცილებლად უნდა გაგრძელებულიყო არა მარტო სამეგრელოში, არამედ საქართველოს ყველა დანარჩენ კუთხეში.**

**ჭაბუა ამირეჯიბმა ამ უკვდავი ნაწარმოებით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ერთია ადამიანის შესაძლებლობის არეალი, მაგრამ უმთავრესია, თუ რა ზნეობით წარიმართება და განხორციელდება ის თითოეული ადამიანის ცხოვრების სარბიელზე.**

**ამ რომანმა ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა მეგრელ კაცს და სხვა სიღრმით დაგვანახა სამეგრელო.**

ერთ-ერთმა ლიტერატურის მოყვარულმა ამ რომანის კიდევ ერთ ღირსებად ახალი მოულოდნელი ფენომენი დაასახელა — „დათა თუთაშხია“ ხომ სულის „კეთროვან დაავადებას“ — ინდიფერენტიზმს ებრძვის, ინდიფერენტიზმი, გულგრილობით დასნებოვნებული სული ქვეყანას აღარაფერში აღარ არგია.

წარმოსახვამაც არ დააყოვნა და მეხსიერებაში ამოტივტივდა ახალი აღქმიდან ერთი ეპიზოდი:

უფალს, რომელიც მიემართება იერუსალიმს, უძევს სამარიასა და გალილეას შორის გზა. ერთ სოფელში მას ათი კეთროვანი კაცი შეხვდა, რომლებმაც უფალს შეთხოვეს: „შეგვიწყალე იესო მოძღვარო“. მათ უფალი ეუბნება: „წადით, ეჩვენეთ მღვდლებს“.

ათივემ შეასრულა უფლის რჩევა და განიწმინდნენ.

ერთი მათგანი, რომ დარწმუნდა განვიკურნეო, მობრუნდა და მაღალი ხმით ადიდებდა ღმერთს. ის მიუახლოვდა იესოს, დაემხო მის ფერხთით და მადლი შეწირა.

მაშინ იესომ თქვა: „ნუთუ ათივენი არ განიწმინდნენ? ცხრანი სადღა არიანო?“

და მართლაც, ნუთუ ჩვენს სულებს არ დაუბერა ამ ახალმა, მაცოცხლებელმა, გამომაფხიზლებელმა სიომ, რომელიც ასე ძალუმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში ამ უკვდავი გმირის – დათას სახით.

დღეს კი რა ხდება? წალეკა საქართველო არაფრის მომცემმა სერიალებმა და კოსმოპოლიტურმა ფილმებმა.

გავბედავ და შეგახსენებთ, რომ ბევრი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს იმ რანგის ქართველი მწერლებით, რომელთაც ხან ვიხსენებთ, ხან არა...

აქედან გამომდინარე, მოდით ცოტა სხვა კუთხით, უფრო ზოგადად, შევხედოთ თვალსაჩინო ქართველი არქიტექტორის უახლესი დროის ჭეშმარიტად მართალ მემორიალს.

— „ცისკარში“ „დათა თუთაშხიას“ წაკითხვის დღიდან, მაწუხებდა სურვილი რაიმე ფორმით გამომეხატა ჩემი აღტაცება ამ საოცარ ქმნილებაზე. მოქანდაკე გენო ზაქარაიასთან ერთად შევქმენი რამდენიმე ვარიანტი ჭაბუას პორტრეტის (ბიუსტი), მაგრამ ეს მაინც „გატკეპნილი“ გზა იყო და სრულებითაც არ ასახავდა იმ უნიკალურობას, რომელიც ბატონმა ჭაბუამ გამოძერწა დათას სახით. ბევრი ფიქრის, ესკიზირების შემდეგ დაიბადა უბრალო გზა, შემეთავაზებინა ჩემი მშობლიური სენაკის ხელმძღვანელობისთვის ქალაქის, ცენტრალური ქუჩების რამდენიმე გამორჩეულ შენობაზე დაგვეკიდა მცირე ზომის ფირნიში (მემორიალური დაფა) ლაკონიური წარწერით, „გმადლობ, ჭაბუა“. ეს იქნება მოსახლეობის მადლობა უნიკალური გმირის გამო. არ ვიყავი დარწუნებული, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ამყვებოდა ამ უცნაური მემორიალის განხორციელებაში („ხალხი ვერ გაგვიგებს“), მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. ათ დღეში დაინიშნა „ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნის დღე“. ერთი დღით ადრე „მემორიალური დაფებით“ ჩავდივარ სენაკში, ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად ვარჩევთ შენობებს. ხდება მათი დამაგრება. ქალაქი ემზადება ქალაქის დღე – სასწაულისთვის. ასე დაიწყო ჭაბუას მარადიული ხსოვნა სენაკელებში.

**გვეგონა, მთელი სამეგრელო მიბაძავდა სენაკს და თავის წილ მადლიერებას იტყოდა, მაგრამ გადის წლები, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ – ბრძანა ვახტანგ დავითაიამ.**

**...„ცხრანი სად არიან, ნუთუ ათივენი არ განიკურნენ“, იკითხა იესო ქრისტემ.**



**თამაზ დოგრაშვილი,**
არქიტექტორი.
2024 წ. ნოემბერი

---

**ჩვენი ოპოზიცია ლოიალური რომ ყოფილიყო ეროვნული ინტერესების მიმართ, ადგებოდა და იტყოდა, გეყოფათ, ხალხო, რატომ ეწევით ამხელა რისკს. აგერ, სააკაშვილის მიერ მოყვანილი ტანკები 30 კმ-ში დგას თბილისიდან, რატომ აღიზიანებთ კრემლს, არ მოხდეს რაღაც უბედურება. ვინმემ თქვა ეს?**

# შორს ჩვენგან აღზევებული ლექი!

მეორე გვერდიდან

**„მახსოვს, უცხოელებს ვეუბნებოდი, რომ 1995 წლის აგვისტოში საქართველოში ჩამოვიდა მადლენ ოლბრაიტი, როცა ჯერ კიდევ შეერთებული შტატების ელჩი იყო გაეროში, შეხვდა მთელ ე.წ. ოპოზიციას და საჯაროდ და გულწრფელად თქვა ამ ქალმა, არ არის ეს ოპოზიცია. მართლაც, ეს ოპოზიცია ერთგული არ არის ეროვნული ინტერესების, პირიქით, ესენი განწყობილნი არიან ქვეყნის საწინააღმდეგოდ. ვეკითხებოდი უცხოელებს, თქვენ რომ ოპოზიციას ეძახით, რეალობას შეხედეთ, ეს ოპოზიციაა?! ნახევარი, ეს არის იგორ გიორგაძის კონტინგენტი პარლამენტში. ამას ეძახით ოპოზიციას? მიპასუხეს, „რა ვქნათ, ხომ იცით, ჩვენი მიდგომა და გაიდლაინია, რომ ოპოზიციასთან საჭიროა მუშაობა“. მესმის მათი, რადგან სრულყოფილი დემოკრატია და მმართველი გუნდის გამართული მუშაობა თითქმის შეუძლებელია, თუ ქვეყანაში არ არის ნამდვილი ოპოზიცია, ანუ ეროვნული ინტერესების ერთგული პოლიტიკური ჯგუფი ან ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ ე.წ. მოდარაჯე ძაღლის და შოლტის ფუნქციას. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რამე თუ შეეშალა, ნამდვილი ოპოზიცია ამას არ აპატიებს.**

**2022 წელს დაიწყო საომარი მოქმედება უკრაინაში და ჩვენმა ხელისუფლებამ ყველგან მისცა ხმა ომის დასაგმობად - ევროპის საბჭოში, გაეროში, ამ დროს სომხეთი და აზერბაიჯანი თავს იკავებდნენ, ჩვენმა ხელისუფლებამ მაინც ყველა დონეზე დაგმო პუტინის შეჭრა და ომი უკრაინაში. ამის შემდეგ 2022 წლის მარტის დასაწყისში გაეროში შემავალი 193 ქვეყნიდან სულ რაღაც 38 ქვეყანა, ანუ ერთი მეხუთედი საბოლოოდ შეგროვდა ჰააგაში და მათთან ერთად მოითხოვა ჩვენმა ხელისუფლებამ, პუტინის წინააღმდეგ აღძრულიყო კრიმინალური საქმე ჰააგის ტრიბუნალზე. დანარჩენი ოთხი მეხუთედი ქვეყანა სულელი იყო, რომ არ მისცა ხმა პუტინის წინააღმდეგ? ასეთ დროს ჩვენი ოპოზიცია ლოიალური რომ ყოფილიყო ეროვნული ინტერესების მიმართ, ადგებოდა და იტყოდა, გეყოფათ, ხალხო, რატომ ეწევით ამხელა რისკს. აგერ, სააკაშვილის მიერ მოყვანილი ტანკები 30 კმ-ში დგას თბილისიდან, რატომ აღიზიანებთ კრემლს, არ მოხდეს რაღაც უბედურება. ვინმემ თქვა ეს?“,** — აცხადებს პეტრე მამრაძე.

ანალიტიკოსი იმასაც იხსენებს, რომ, პირიქით, ჩვენი ოპოზიცია იმეორებდა იმას, რასაც კელი დეგნანი ამბობდა, „კიდევ რაღაც გვჭირდება, რომ დაგვიმტკიცოთ, რომ კიევის მხარეს ხართ და არა მოსკოვის“. ამ დროს ფინელები როგორ იქცეოდნენ?! ფინელები სტრატეგიულ მოთმინებას და სიფრთხილეს იჩენდნენ 40 წელიწადის განმავლობაში. პრაღაში რომ შეიჭრა საბჭოთა კავშირი 1968 წელს, ფინეთმა ეს მაშინაც არ დაგმო, გაეროში თავი შეიკავა. ასეთი თავის მოკატუნებით ფინელებმა 55 წელს ხრუშჩოვს ხელი მოაწერინეს და გაიყვანეს ბაზები. ამ დროს საქართველოდან რუსის ტანკი ჯერ არ გასულა.

**მანანა ნოზაძე**

---

## რიშარდ ჩარნეცკი:

# დასავლეთმა და ევროკავშირმა საქართველოს ზურგი არ უნდა შეაქციონ!



**ევროპარლამენტარი რიშარდ ჩარნეცკი საქართველოში არსებული ვითარების შესახებ სტატიას აქვეყნებს. დეპუტატი, რომელიც სტატიის დაწერის დროს თბილისში იმყოფებოდა აღნიშნავს, რომ დასავლური მედიის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „თბილისი დუღს“, თუმცა ქალაქში ყოფნისას ეს საერთოდ არ იგრძნობა.**

„ოპოზიცია სოციალურ მედიაში ბობოქრობს, თუმცა დედაქალაქის ქუჩებში სიწყნარეა ისევე, როგორც პროვინციებში“, — წერს ევროდეპუტატი.

ის ასევე აღნიშნავს, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გაცილებით ნაკლები ემოცია გამოიწვია მოსახლეობაში, ვიდრე 4 წლის წინ გამართულმა არჩევნებმა და რომ ის ვერ „იჯერებს პროპაგანდას, თითქოს საქართველოს ქუჩებსა და გახლეჩილ ოპოზიციას მთავრობის გადაგდება შეუძლიათ“. მისივე თქმით, ქართველები საარჩევნო უბნებზე დიდი რაოდენობით მივიდნენ, თუმცა არჩევნების თემა მათთვის მთავარი მოვლენა აღარ არის.

ჩარნეცკი ასევე არჩევნების შედეგის მიზეზებზე წერს.

**„ყველამ იცის, რომ უკრაინის ტერიტორიის 20% რუსეთის ხელშია. ცოტამ იცის, რომ საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20% ასევე რუსული ჩექმის ქვეშ არის. ქართველები ევროპული ერი არიან, მათ გულწრფელად სურთ, იყვნენ პოლიტიკური ევროპის, ანუ ევროკავშირის წევრები, მაგრამ ასევე გულწრფელად ეშინიათ „დიდ ძმასთან“ კონფლიქტის ესკალაციის. სწორედ ამიტომ გააკეთა უმრავლესობამ ის არჩევანი, რაც გააკეთა. თუ არ გვინდა, რომ დასავლეთით იმედგაცრუებული საქართველო მართლაც რუსეთისკენ შეტრიალდეს, დასავლეთმა და ევროკავშირმა მას ზურგი არ უნდა შეაქციონ“...**

# ქართული ფეხბურთის უზბეკური დიდგორი

**ჩემი თაობის გულშემატკივარს დღეს ნოსტალგიის გრძნობა ეუფლება. ეს არცაა გასაკვირი. მას უნახავს ქართული ფეხბურთი ოლიმპზე, უნახავს დიდებული თამაშები და მოთამაშეები. ლეგენდარული რუსი ფეხბურთელის ვალენტინ ივანოვის თქმით „ქართული ფეხბურთი იყო საბჭოთა ფეხბურთის მარგალიტი“. ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი.**

სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ მე მქონდა ბედნიერება მენახა ორი ნამდვილად დიდებული და ლეგენდარული თბილისის „დინამო“. რა თქმა უნდა, აქ საუბარია 1964 წლის და 1981 წლის თბილისის „დინამოზე“, რომელმაც ყველა საფეხბურთო მწვერვალი დაიპყრო. გული მტკივა მხოლოდ იმაზე, რომ დუბლის შესრულება – საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის და თასის ერთდროულად მოგება ვერ შეძლო.

60 წელი გავიდა მას შემდეგ რაც თბილისის „დინამომ“ თავის ისტორიაში პირველად დაიპყრო უმაღლესი საფეხბურთო ოლიმპი, 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში დამატებით მატჩში დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“. და პირველად თავის ისტორიაში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ეს ენით აუწერელი სიხარული იყო. მე მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი და 12 წლის გახლდით.

თუ 1981 წლის „დინამოს“ ტრიუმფალური წარმატებები ერთი ლეგენდარული მწვრთნელის, სახელმოხვეჭილი **ნოდარ ახალკაცის** სახელს უკავშირდებოდა, 1964 წელს საქმე შედარებით რთულად იყო. ის სამი მწვრთნელის სახელთან ასოცირდებოდა. უნდა ითქვას, რომ ამ გუნდის შექმნას საძირკველი ჩაუყარა გამოჩენილმა ქართველმა მწვრთნელმა, უებრო სელექციონერმა, **ანდრო ჟორდანიამ.** ამ საქმეში მისი ღვაწლის დავიწყება უმადურობა იქნებოდა. ნუ ვიქნებით უმადურები, ეს კარგი არაა. თავის დროზე მას, ისევე როგორც ნოდარ ახალკაცს, ბევრჯერ მოვექეცით უსამართლოდ. შემთხვევითი არაა, რომ ახალი გუნდის ძირითადი ბირთვი სწორედ მან ჩამოაყალიბა. ისინი მისი აღზრდილები იყვნენ: **სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, გურამ პეტრიაშვილი, ავთანდილ ხელაძე, თენგიზ მელაშვილი, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი, ილია დათუნაშვილი.** სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ სწორედ მათ შეადგინეს მომავალი ჩემპიონის ძირითადი ბირთვი. ახალი გუნდის ფორმირების დასკვნით აკორდად მოგვევლინა 1963 წელს მოსკოვის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ ლეგენდარული სლავა მეტრეველის გადმოყვანა.

ანდრო ჟორდანიას მიერ დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელა მრავალნაცადმა მწვრთნელმა **მიხეილ იაკუშინმა.** მან თბილისელთა თამაში თვისობრივად, ხარისხობრივად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, ფიზიკურ მომზადებაზე აქცენტით. რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში, ხარისხობრივში გადაზრდა წილად ხვდა გამოცდილ მწვრთნელს **გავრიილ კაჩალინს.** მან წარმატებით დააგვირგვინა წინამორბედების დაწყებული საქმე.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა რგოლი ქართული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო იყო: მეკარე სერგო კოტრიკაძე. მას ჰყავდა საიმედო შემცვლელი ნოდარ ლეჟავა. მცველები: ბორის სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ ცხოვრებოვი. ნახევარდაცვის ხაზი: გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, გურამ პეტრიაშვილი, ავთანდილ ხელაძე. თავდამსხმა: სლავა მეტრეველი, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი, ილია დათუნაშვილი, თენგიზ მელაშვილი. სიღრმე ამ გუნდის ერთ-ერთი მთავარი ღირსება იყო. 17 მაღალი კლასის ფეხბურთელი ცოტა არაა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ სეზონის წინ ქუთაისის „ტორპედოში“ გადაიყვანეს თენგიზ მელაშვილი. გუნდი დატოვა ავთანდილ ხელაძემაც. თითქოს ყველაფერი, ეტყობა რიგზეა. „დინამო“ მზადაა ჩაებას ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ უეცრად გაჩნდა პრობლემები, რომელიც, უმთავრესად, დაცვით ხაზს შეეხო. ავადმყოფობის გამო 1964



# ტაშკენტის ტრიუმფი 60 წლისაა!

წელს არ უთამაშია გივი ჩოხელს და ტრავმირებული იყო მეორე ცენტრალური მცველი მურთაზ ხურცილავა. მართალია, ის დაბრუნდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ კვლავ ტრავმა მიიღო და გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. დაცვის გაძლიერების მიზნით ქუთაისის „ტორპედოდან“ გადმოიყვანეს გურამ



ილია დათუნაშვილის კუთხური...

ცხოვრებოვი. დაცვის ცენტრში კი გადაიყვანეს ჯემალ ზეინკლიშვილი. ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გამოტოვა სერგო კოტრიკაძემ ამიტომ კარს იცავდა ნოდარ ლეჟავა. მოულოდნელად, პრობლემამ იჩინა თავი იქ, სადაც არ უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს თავდასხმის ხაზი. რატომღაც აქტუალური შეიქმნა მეორე ცენტრფორვარდის საკითხი. „დინამოს“ თავდამსხმის ხაზი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სლავა მეტრეველი, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი. აუტკივარი თავი ხომ არ ავიტკიეთ? ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა ცოტა ადრე ხომ არ ჩამოვწერეთ ზაურ კალოევი? მის ნაცვლად ნალჩიკის „სპარტაკიდან“ ჩამოიყვანეს ალექსანდრე აფშევი. ვერ ვიტყვით, რომ ამ ნაბიჯმა გაამართლა. მთელი სეზონის მანძილზე გრძელდება შეტევის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მიაგნეს მას, მაგრამ მოდით ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ. ხომ არ შეიძლებოდა ზაურ კალოევის უფრო ეფექტურად გამოყენება? ეს საკითხი ღიად რჩება. რა აუცილებელი იყო აფშევის ჩამოყვანა?

1964 წლის თბილისის „დინამოს“ წარმატება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მჭიდროდ უკავშირდებოდა ორ გარემოებას. საკუთარ მოედანზე თამაში ყოველთვის იყო „დინამოს“ მთავარი კოზირი. ამჯერად მათ საუკეთესო შედეგი უჩვენეს სახლში: 14 მოგება და მხოლოდ ორი ფრე. 15 აპრილს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ 1:1 და 6 მაისს ალმაათის „კაირატთან“ 2:2. სულ 30 ქულა (მაშინ მოგებულ გუნდს 2 ქულა ეწერებოდა). სასიამოვნო სიურპრიზი იყო გასვლით თამაშებში კარგი გამოსვლა, რომელიც ყოველთვის იყო ქართველი ფეხბურთელების გამოსვლების აქილევსის ქუსლი. ამჯერად გუნდმა კარგად ითამაშა და ქულების 50% აიღო, რაც სავსებით ნორმალური შედეგია. 4 მოგება, 8 ფრე და 4 წაგება. 30 ქულა სახლში, 16 ქულა გასვლით თამაშებში. ასეთი იყო „დინამოს“ მონაგარი 1964 წლის სეზონში.

1964 წლის სეზონი პირობითად სამ მონაკვეთად შეიძლება დავყოთ: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. მივყვეთ თანმიმდევრობით. უნდა ითქვას, რომ „დინამომ“ ჩინებული სტარტი აიღო. ის გუნდის ისტორიაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო – 6 მატჩი, ხუთი გამარჯვება, ერთი ფრე. 28 მარტი. მოსკოვის „სპარტაკი“ 1:0. 1 აპრილი ცსკა 3:0. 7 აპრილი. „ზენიტი“ 2:0. 11 აპრილი გორკის „ვოლგა“ 2:0. 20 აპრილი. იაროსლავლის „შინიკი“ 1:0. 15 აპრილი „კრილია სოვეტოვი“ 1:1.

სეზონის სტარტი ძალიან ძლიერად ჩაატარა ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ითამაშა მან მოსკოვის ცსკასთან შეხვედრაში, სადაც ორი გოლი გაიტანა. უნდა ითქვას, რომ მისი თამაში მარტო შედეგიანობით როდი იპყრობს ყურადღებას. იგი გამოირჩეოდა საზრიანობით. ამის მკაფიო ნიმუშია 26 აპრილს მოსკოვის „დინამოსთან“ 1:3 წაგებულ მატჩში მისი მოქმედება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბარქაიას რეიდი და მანევრი 24-ე წუთზე ტაქტიკური და ტექნიკური ოსტატობის მაგალითს წარმოადგენს. მან ბრწყინვალედ შეასრულა დირიჟორის როლი. ეს საფეხბურთო ინტელექტის ჭეშმარიტი ზეიმი იყო.

ამ მონაკვეთის მეორე ეტაპი გუნდმა შედარებით სუსტად ჩაატარა. მოსკოვის „დინამოსთან“ მარცხს მოყვა წაგება 2 მაისს კიშინოვში „მოლდოვასთან“ 0:1 და 17 მაისს დონეცკში „შახტიორთან“ 1:2. სხვათა შორის, ამ მატჩში ტრავმა მიიღო შეუდარებელმა მიხეილ მესხმა და მთელი გაზაფხულის გამოტოვება მოუწია. და 6 მაისს თბილისში „კაირატთან“ 2:2. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მოსკოვში მარცხის შემდეგ შეიცვალა გუნდის ხელმძღვანელობა. მიხეილ იაკუშინი ჩაანაცვლა გავრიილ კაჩალინმა. რითი იყო გამოწვეული ეს ნაბიჯი, ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც იტყვიან, „სიკეთიდან სიკეთეს არ ეძებენ“.

შეიძლება ითქვას, რომ შესვენებამ, რომელიც დაკავშირებული აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოსვლასთან, „დინამოს“ პირდაპირ სულზე მოუსწრო. მან დრო მისცა ახალ ხელმძღვანელობას, რომ კარგად გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში. მოვლენათა მსვლელობამ დაგვანახა, რომ მან ამ რთულ მისიას ურიგოდ როდი გაართვა თავი. გუნდში შექმნილი სიტუაციის დალაგების პროცესი წარმატებით მიმდინარეობდა.

მეორე მონაკვეთია ზაფხულის პერიოდი. იგი ორი ეტაპისგან შედგება. ის ემთხვევა პირველი წრის დასასრულს და მეორე წრის დასაწყისს. პირველი წრის ბოლო ექვსი მატჩიდან „დინამომ“ ოთხი მოიგო, ერთი გასვლაზე და სამი კი სახლში. 6 ივლისს ბაქოში „ნეფტიანიკთან“ 1:0. 10 ივლისს თბილისში როსტოვის სკასთან 2:1, 20 ივლისს კიევის „დინამოსთან“ 2:1 და 25 ივლისს 1:0 ქუთაისის „ტორპედოსთან“. და ორი ფრე 1 ივლისს მოსკოვში „ტორპედოსთან“ 1:1 (სხვათა შორის, ეს მატჩი განსაჯა რიგელმა არბიტრმა მ. რუზენისმა) და 15 ივლისს მინსკში „დინამოსთან“ 0:0. სერგო კოტრიკაძემ მოიგერია ვიქტორ პოგალნიკოვის დარტყმული პენალტი და „დინამოს“ ქულა გადაურჩინა, რომელმაც სეზონის ბოლოს პირდაპირ ოქროს ფასი დაიდო.

ასე მივუახლოვდით სეზონის ყველაზე უფრო რთულ მონაკვეთს, მეორე წრის დასაწყისს. „დინამოს“ ზედიზედ ექვსი გასვლითი მატჩის ჩატარება მოუხდა. ფაქტობრივად, ამით იწყება ზაფხულის სესიის მეორე ეტაპი, რომელიც „დინამომ“ ურიგოდ როდი განვლო. განსაკუთრებით რთული იყო პირველი სამი გასვლითი მატჩი, სადაც უნდა ითქვას, რომ „დინამომ“ შეძლო პროგრამა – მინიმუმის შესრულება. ეს ცხადია, წარმატება იყო. 1 აგვისტოს კიევის „დინამოსთან“ ფრე 1:1, 5 აგვისტოს ცსკასთან მარცხი 4:1, რაც სხვათა შორის, იმ სეზონში, საბედნიეროდ უკანასკნელი აღმოჩნდა და 11 აგვისტოს გამარჯვება მოსკოვის „სპარტაკთან“ 1:0. ყველაზე ძნელი მონაკვეთი უკან დარჩა. შემდეგი სამი მატჩი შედარებით უფრო ადვილი ჩანდა და უფრო ოპტიმისტურად განგვაწყობდა. 19 აგვისტოს ფრე 0:0 ლენინგრადში, 23 აგვისტოს ფრე 0:0 გორკში და ბოლოს 3 სექტემბერს კუიბიშევში უხვგოლიანი ფრე 3:3. სხვათა შორის, ამ მატჩში „დინამო“ ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, 15 წუთით ადრე იგებდა ორი ბურთით 3:1, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს თამაშის გადარჩენა და ანგარიში გაათანაბრეს. ზაფხულის სერიის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ სლავა მეტრეველი. ის ამავდროულად გუნდის საუკეთესო ბომბარდირის როლში მოგვევლინა. მან ხუთი გოლი გაიტანა.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მთელი სეზონის განმავლობაში „დინამოს“ ხელმძღვანელობა ცდილობს გამოძებნოს შეტევის ოპტიმალური ვარიანტი. ჯერ იყო და ალექსანდრე აფშევი სცადეს, მაგრამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა იყო. სცადეს მისი ჩანაცვლება ახალგაზრდა ელგუჯა ხუციშვილით, მაგრამ არც ეს იყო მთლად დამაჯერებელი. გავრიილ კაჩალინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო თავდასხმის ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნა და შექმნა ქართული ფეხბურთის ისტორიაში შეტევის ერთ-ერთი საუკეთესო ხაზი. მან მიმართა თამამ ექსპერიმენტს და შეტევის ცენტრში გადაიყვანა სლავა მეტრეველი, რომელმაც „საზრიან სტრატეგ“ ვლადიმერ (სიომა) ბარქაიასთან ერთად, შექმნა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ცენტრალური თავდამსხმელების ერთ-ერთი უძლიერესი ტანდემი. თავდამსხმის ოთხეული ასე გამოიყურებოდა: მარჯვნივ ილია დათუნაშვილი, ცენტრში ვლადიმერ (სიომა) ბარქაია და სლავა მეტრეველი და მარცხნივ მიხეილ მესხი.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ აქტუალურ თემას, რომელიც თავის დროზე ძალზე დიდ კამათს იწვევდა ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის. მესხი ჯობია თუ მეტრეველი? მოგვიანებით, მაგრამ მაინც შევეცდებით ჩვენი პოზიციის დაფიქსირებას. შეიძლება როგორც გარემარბი მესხი შედარებით უფრო ძლიერი იყო. ცნობილმა მწვრთნელმა ელინიო ერერამ მათ კარგად უწოდა „ქართული ფრთები“, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფეხბურთელი მეტრეველი გაცილებით უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, აღმოჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა მისი თავდასხმის ცენტრში გადაყვანა 1964 და 1965 წლების სეზონებში. გუნდის ხელმძღვანელობა მარტო ამ გადაადგილებას არ დასჯერდა. დაცვის ცენტრში გამოჩნდა 20 წლის ვახტანგ რეხვიაშვილი. მან სახელგანთქმული მურთაზ ხურცილავა შეცვალა. ეს დებიუტანტის სპორტულ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი იყო.

1964 წლის სეზონის დასკვნით აკორდს, მესამე მონაკვეთი, შემოდგომის სესია წარმოადგენდა. თბილისელებმა ის ბრწყინვალედ ჩაატარეს და 20 შესაძლებლობიდან 18 ქულა მოიპოვეს: 8 გამარჯვება და 2 ფრე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზედიზედ მოპოვებული 6 გამარჯვება. 12 სექტემბერს თბილისში მოსკოვის „დინამოსთან“ 2:1. 16 სექტემბერს როსტოვში სკასთან 2:1. 20 სექტემბერს თბილისში კიშინოვის „მოლდოვასთან“ 1:0. აუტსაიდერთან მატჩი საკმაოდ მძიმე გამოდგა. მის მთავარ გმირად ვლადიმერ (სიომა) ბარქაია მოგვევლინა. ერთადერთი გოლი, სწორედ, მის ანგარიშზეა. 1 ოქტომბერს დონეცკის „შახტიორთან“ 2:1, „დინამომ“ სლავა მეტრეველის მიერ ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით გამოგლიჯა მეტოქეს მისთვის ესოდენ საჭირო ორი ქულა. 15 ოქტომბერს კიდევ ერთი ძნელი გამარჯვება ბაქოს „ნეფტიანიკთან“ 4:3. დუბლი შეასრულა მიხეილ მესხმა. პრინციპულ ხასიათს ატარებდა, საჩემპიონო რბოლაში, 22 ოქტომბერს, დაპირისპირება მოსკოვის „ტორპედოსთან“. ამ დროისთვის გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფებოდა. დინამოელებმა ეს მატჩი ძალიან ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს 3:1. ანგარიში გახსნა მიხეილ მესხმა. მეორე ტაიმის დასაწყისში ლეგენდარულმა ვალერი ვორონინმა გაათანაბრა ანგარიში. ცოტა ხნის შემდეგ, ლამაზი თავური დარტყმით სლავა მეტრეველმა წინ გაიყვანა თბილისელები. ამ უკომპრომისო ბრძოლას შორიდან ყუმბარისებური დარტყმით წერტილი დაუსვა ლეგენდარულმა კაპიტანმა შოთა იამანიძემ.

**მერაბ კალანდაძე**

დასასრული შემდეგ ნომერში

## ორიოდე სიტყვით

**ჭადრაკი**

**ლინიანო (იტალია).** ევროპის ვეტერან სენიორთა ჩემპიონატი 50-წლიანთა ასაკობრივ კატეგორიებში. **ოქრო** – ზურაბ სტურუა (მეხუთედ!), მიხეილ კეკელიძე.




**კალათბურთი**

**ფიბა ევროპის თასი.** ბილბაო (ესპანეთი) – ქუთაისი 91:63. **კოტე ტუღუშის** გუნდმა პირველი მეოთხედი 18:16 მოიგო, თუმცა შემდეგ ფავორიტ მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. შეგახსენებთ, რომ ბასკებმა პირველ წრეში უფრო დიდი სხვაობით დაგვამარცხეს – 88:57. რიონისპირელთაგან ყველაზე შედეგიანად ითამაშეს **ჯონერმა** – 12, **სმიტმა** – 11, **დვალიშვილმა** – 9 და **კორსანტიამ** – 7 ქულა.

**იტალია.** სერია – ა. ვირტუსი – ტორტონა 85:81. **შენგელია** – 12 ქულა. ბოლონიელებმა ექვსივე მატჩი მოიგეს და ჩემპიონატის ლიდერები არიან.

**ნბა.** ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა მორიგი მატჩები წააგეს, ხოლო **ბითაძემ** ორლანდოს 30 წუთში 10 ქულა და 12 მოხსნა, მამუკელაშვილმა კი სან ანტონიოს 15 წუთში 10 ქულა და 7 მოხსნა მოუტანა.

**მოახლოებული** სანაკრებო შესარჩევი შეხვედრების წინ საქართველოს ნატურალიზებული მოქალაქე გახდა 27 წლის ამერიკელი უკანახაზელი **კამარ ბოლდუინი,** რომელსაც ჯერ აშშ-ს სტუდენტური ლიგის, ხოლო შემდეგ ევროპის კლუბებში საშუალო 15-ქულიანი შედეგიანობა გამოარჩევდა.

**ხელბურთი**

**ევრო – 2026.** საკვალიფიკაციო რაუნდი. საბერძნეთი – საქართველო 27:26. **ცხოვრებაძე** – 11 გოლი. ზეგ მე-2 ტურში ჩვენი გუნდი ფავორიტ ისლანდიას უმასპინძლებს.

## ხსოვნა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსის

**პაატა კოღუაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებსა და კოლეგებს.

---



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო ერთეულის – არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წლების განმავლობაში აღნიშნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ნოე (ნუკრი) ჯორბენაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

1969 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული 115-ე ჯგუფელები მწუხარებით იუწყებიან ჯგუფელისა და მეგობრის

**დიმიტრი კუჭუხიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ თოფურია, რობერტ ცირეკიძე, აკაკი ზედელაშვილი, დავით ელაშვილი, ალბერტ კახოიძე, ნოდარ კალაიჯიშვილი დიდ მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის

**დიმიტრი გალაკტიონის ძე კუჭუხიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ოჯახის ახლობლებს.

## ტრაგედია მოხუცთა თავშესაფარში

**მუხრანის მოხუცთა თავშესაფარში გაჩენილ ხანძარს ორი ბენეფიციარი ემსხვერპლა. ამის შესახებ განცხადებას სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ავრცელებს.**

„მუხრანის მოხუცთა თავშესაფარ შპს „მუხრანის სავანეში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად, ორი ბენეფიციარი დაიღუპა. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო, სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.






თავშესაფარში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ასევე, დაშავდა 2 ბენეფიციარი, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილები. დაშავებულები, მიხეილ სარჯველაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მოინახულა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას გაეცნო.

მუხრანის თავშესაფრის ყველა ბენეფიციარმა გაიარა შესაბამისი შემოწმება და გადაყვანილები არიან სხვადასხვა თავშესაფარში, სადაც ყველა საჭირო სერვისით არიან უზრუნველყოფილნი.

ფაქტთან დაკავშირებით, დაწყებულია გამოძიება“.

## განცხადება

1. შპს უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.
1. ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.
1. ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge
1. ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge
1. ტელ.: 2 75 25 20.

## გამოავლინეს არადეკლარირებული ვერცხლის ნაკეთობები

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის „სარფის” საბაჟო გამშვებ პუნქტში მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული სატრანსპორტო საშუალების დეტალური დათვალიერების შედეგად, ავტობუსის სალონში, წინასწარ მოწყობილ სამალავში ორ შეკვრად დაფასოებული 14.0967 კილოგრამი არადეკლარირებული ვერცხლის საიუველირო ნაკეთობები გამოავლინეს.**

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 35 382.72 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

## განცხადება

**2024 წლის 12 ნოემბერს მოწვეული თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების**

**დღის წესრიგი**

1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის – ცეკავშირის შემადგენლობიდან თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამოსვლის შესახებ.
2. სახელმწიფოს მიერ თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივისთვის უკანონოდ წართმეული უძრავი ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.
3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების: მდებარე ქალაქ თბილისში მუხიანის 4ა მრ, 35 კორპუსის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, სტანისლავკის ქ N11 მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების გასხვისების შესახებ.

**კოოპერატივის გამგეობა**

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - რუსთავის მუნიციპალიტეტში შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.**

**საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების დრო და ადგილი: **2024 წლის 12 დეკემბერი, 12:00 საათი, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: კოსტავას გამზირი N20), 2024 წლის 12 დეკემბერი, 15:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობა.** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 29 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ქციას“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში ასფალტ-ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.**

**საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 18 დეკემბერი, 14:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2025 წლის 3 იანვრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 30 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# ოპოზიციის საპანაშვიდედ თქმული



ტრამპის ტრიუმფმა დაშოკა
ქართველი ლიბერასტები,
საშვიდნოემბროდ მიშიკოს
კუჭში გაექცა თვალები.
ქუჩიდან სასამართლოში
წანწალებს ოპოზიცია,
გეგმა ვერ შეუდგენია
ძალას, ცნობილსა ფიქციად!
ამასობაში აორთქლდა
კარვები, როგორც ლეიბი,
უსამშობლოთა კასტაში
ჩაშლილი გახლავთ ზეიმი.
ორბანმა შემოგვითვალა
მიგულეთ მუდამ მეგობრად,
ამერიკაც და ევროპაც
უნდა გიქციოთ ყონაღად.
მილიარდიან ჩინეთში
ისედაც გვთვლიან ნაღდ დოსტად,
ზურაბიშვილის სირცხვილი
ჩამოყალიბდა ცრუ ფოსტად.
ორბელიანთა სასახლეს
ერთ თვეში დაცლის აგენტი,
ეყოფა, რაც ჟულიენთან
ერთად მიირთვა სპაგეტი...
რა გეშველებათ ნიკუტას,
მელიასა და თინიკოს,
მასების ასაბუნტებლად
არავინ დაგრჩათ, ბიძიკო!

**ჯოჯო პირველი**

# ოპოზიციამ თხარა, თხარა და, თავისივე დანაშაულები გამოთხარა!

**არჩევნების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვები გრძელდება. მმართველი გუნდი ოპონენტების მხრიდან არჩევნების გაყალბების მტკიცებულებებზე საუბრობს. უმრავლესობაში ამბობენ, რომ მათ ოპონენტებს არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კანონდარღვევაზე პასუხის გაცემა მოუწევთ შესაბამისი უწყებებისთვის.**

„ხალხის ძალის“ წევრის, გურამ მაჭარაშვილის განცხადებით, აღმოჩნდა, რომ ოპოზიცია თავად მიმართავდა გარკვეულ მანიპულაციებს.

„ოპოზიციამ თხარა, თხარა და, სავარაუდოდ, თავისივე დანაშაულები გამოთხარა. ჩვენ ვამბობდით და ეს მტკიცებულებებიც მოვიპოვეთ, რომ რეალურად, ადამიანები, რომლებიც მიდიოდნენ უბნებზე, სიებში არ იყვნენ და აღმოჩნდებოდა, რომ რადიკალური ოპოზიციის რომელიმე კომისიის წევრი იყო, თან – ამ უბნიდან მოშორებით. ეს რეალური ჩვენებები და მტკიცებულებები წარედგინება პროკურატურას“.

# ესპანეთის პოლიციამ კოკაინის რეკორდული რაოდენობა ამოიღო



**ესპანეთის პოლიციამ ალხესირარის პორტში 13 ტონა კოკაინი ამოიღო. Reuters-ის ცნობით, ნარკოტიკული საშუალება ბანანის კონტეინერში იყო დამალული.**

ამ ოპერაციამ 2023 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა, როდესაც ესპანეთის პოლიციამ 9,4 ტონა კოკაინი ამოიღო.

გამოძიების ფარგლებში, მადრიდსა და ალიკანტეში სახლებსა და ოფისებში ჩხრეკა ჩატარდა. დააკავეს ერთი ადამიანი, ორი იძებნება. ასეთი რაოდენობის კოკაინი სამართალდამცველებმა ევროპაში ისტორიაში მეორედ ამოიღეს.

## უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.7247; ევრო - 2.9288;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5135;**
**100 რუბლი - 2.7747; თურქული ლირა - 0.0796;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6021;**
**1000 სომხური დრამი - 7.0391.**

## ვულოცავთ!



დაბადების დღეს ვულოცავთ მსოფლიოში ერთ - ერთ გამორჩენილ ჩოგბურთელს
ალექსანდრე მეტრეველს
ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

**იურა, გუგა და კოკი ოსიპოვები.**

# რომელი თამაში ანელებს ტვინის დაბერებას?

**ჰონკონგის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ „მაჯონგი“ დადებითად მოქმედებს მოხუცი ადამიანის კოგნიტიურ უნარებზე, მეხსიერებასა და ემოციურ მდგომარეობაზე. კვლევის შედეგები ჟურნალში The Journal of Prevention of Alzheimer's Disease Article (JPADA) გამოქვეყნდა.**

„მაჯონგი“ ტრადიციული ჩინური თამაშია, რომელშიც სპეციალური ქვები გამოიყენება. ის მოთამაშისგან კონცენტრაციას, კარგ მეხსიერებასა და დაკვირვებულობას მოითხოვს. თამაში პოპულარულია ჩინეთში, იაპონიასა და აზიის სხვა ქვეყნებში. თამაშში 4 მოათამაშე მონაწილეობს, თითოეული ცდილობს შეკრიბოს მომგებიანი კომბინაცია და მიიღოს ქულები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რეგულარული თამაში ხელს უწყობს მეხსიერების შენარჩუნებას, დადებითი გავლენა აქვს კოგნიტიურ უნარებზე და მოხუცებს დეპრესიასთან ბრძოლაში ეხმარება. მკვლევრებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ „მაჯონგი“ მოხუცებს სოციალურ აქტივობაშიც ეხმარება.



გამოცდილ მოთამაშეებს, განსაკუთრებით 60 წელს გადაცილებულებს უკეთესი კოორდინაცია და მეტი სოციალური კავშირი აქვთ, ვიდრე მათ, ვინც არ თამაშობს. ეს კონტაქტები კი ამცირებს კოგნიტიური დარღვევების რისკს და ხელს უწყობს ჯანსაღი ფსიქიკის შენარჩუნებას.

# კლონირებულმა დედოფალამ ისტორიაში პირველად ჯანსაღი შთამომავლობა გააჩინა

**კლონირებულ დედოფალა ანტონიას, რომელიც ცხოველთა ამ სახეობის აღდგენის პროექტში მონაწილეობს, ორი ჯანმრთელი შთამომავალი გაუჩნდა.**

გამოცემა **Interesting Engineering**-ის ინფორმაციით, ანტონია პირველი კლონირებული დედოფალაა, რომელიც დედა გახდა.

ანტონია დედოფალა ვილას კლონია, რომლის დნმ ჯერ კიდევ 1988 წელს იყო შეგროვებული და გაყინულ მდგომარეობაში სანდიეგოს ზოოპარკში ინახებოდა. ვილა მნიშვნელოვანი გენეტიკური მრავალფეროვნების მატარებელი იყო, შესაბამისად, ანტონიას შთამომავლები პოპულაციის გენეტიკური მდგრადობის ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვნები არიან. სპეციალისტების თქმით, ამ ცხოველებისგან მიღებული გენეტიკური ხაზები დედოფალების მთელი სახეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას შეუწყობენ ხელს.

შავფეხა დედოფალების კლონირების პროექტი 2020 წელს დაიწყო. ამ სახეობის პოპულაციის მნიშვნელოვანი კლება მე-20 საუკუნეში, ბინადრობის არეალის დაკარგვისა და ეპიდემიების გამო დაიწყო. 1980-იან წლებში ისინი გადაშენებულებად ითვლებოდნენ, თუმცა მოგვიანებით ვაიომინგში რამდენიმე ცხოველი აღმოაჩინეს, რამაც გამრავლებისა და კლონირების პროგრამას მისცა სტარტი. დღეს თითქმის ყველა შავფეხა დედოფალა, კლონების გამონაკლისით, ველურ ბუნებაში აღმოჩენილი 7 ცხოველის შთამომავალია.



# მსოფლიოს ულამაზესი კატა

**პოლონეთში მცხოვრები ბაკარდი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ კატად აღიარეს. ასეთ დასკვნამდე ნორვეგიაში ჩატარებული კატების საერთაშორისო გამოფენის FIFe World Show ჟიურის წევრები მივიდნენ.**



26 მსაჯი 1,5 ათასზე მეტი კატის შეფერილობას, ბეწვს, აღნაგობასა და სახის ფორმას აფასებდა. ფინალში ბაკარდიმ, რომელიც რუსული ცისფერი ჯიშის წარმომადგენელია, სომალიურ, აბისინურ და ორიენტულ კატებს აჯობა.

**„ყოველთვის ვიცოდი, ,რომ ბაკარდი მსოფლიოში ყველაზე ლამაზი კატაა. ამის შესახებ ყოველდღე ვეუბნები, ახლა კი წერილობით დასტურიც მაქვს“, – განაცხადა კატის პატრონმა ჯოანა კოვალჩიკმა.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგვზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 ნოემბერს**